№ 2665
სამშაბათი,
9 ნოემბერი

ცნობის ფურცელი

№ 2665
სამშაბათი,
9 ნოემბერი

გაზეთი ღირს: წელიწადი—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კომპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო გრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

8 ნოემბერს გარდაიცვალა

კნ. ნინო სარდიონის ასული მაღალაშვილისა,

რასაც მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ ქმარი მისი გრიგოლ გრიგოლისძე შვილებით. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს შვიდ საათზე. წყნეთის ქ., სახლი გაბაშვილისა № 2. დაკრძალვის დღე ცალკე გამოცხადდება. (2—372—1)

კნეინა ლიუბა სვიმონის ასული ციციშვილისა აუწყებს თავის ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ორშაბათს, თხუთმეტს ამა ნოემბერს სოფ. სარიკამიშში გარდახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მეუღლის მისას

თავადის მიხეილ ირაკლის ძის ციციშვილის

სულის მოსახსენებლად. (1—4036—1)

სამშაბათს, 9 ნოემბერს, ს. კდეთის წმინდა გიორგის ეკლესიაში, (შორაპ. მაზრა) გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

ედუსი მალხაზის ასულის სანიკიძისა,

რომელსაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი გრიგოლ დიმიტრის ძე სანიკიძე. (1—40 37—1)

ბიჭია გიორგის ძე ჯაფარიძე გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა, მეგობართა და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარლის შვილის სტუდენტის

ივანესას,

გარდაცვალებულის გვამის დაკრძალვა მოხდა შვიდს ამა ნოემბერს ს. ხრეითში. (1—4039—1)

აზნაური ნოე გიორგის ძე მგალობლიშვილი და მეუღლე მისი მაკრინე ქაიხოსროს ასული აუწყებენ ნათესავთა და პატივისმცემელთ, რომ შაბათს, ცამეტ ნოემბერს ქალაქ ქუთაისში საფიჩხიის ეკლესიაზე გადახდილ იქნება ნახევარის წლის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვალებულის და მათთვის საუკუნოდ დაუვიწყარის ძვირფასის ასულის

ეკატერინეს

სულის მოსახსენებლად. (1—4038—1)

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი.
ოთხშაბათს, 10 ნოემბერს, მესამე აბონემენტის რიცხვში ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება პირველად შემდეგი ახალი პიესები
I ივდითი ტრაგ. 5 მოქ. თხზ. ჯიაკომეტნისა, თარ. ი. მაჭავარიანისა.
II ნაპერწკალი კომ. 1 მოქმ. თხზ. პაილერონისა. თარგ. ა. ახნაზაროვისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი ტ. აბაშიძე, გაბუნია-ცაგარელი, კარგარეთელი, ნ. მესხი, ჩხეიძე; ბ-ნნი: გუნია, ივანიძე, სვიმონიძე, საფაროვი, შალიკაშვილი, შათირიშვილი, წუწუნავა და სხვ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
მორიგი რეჟისორი ვ. აბაშიძე. ადმინისტრაცია ამხანაგობისა.
მზადდება წარმოსადგენად „იულიუს კეისარი“, „მედეა“, „ერნანი“ და სხვ (3—უ—3)

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
სამშაბათს, 9 ნოემბერს 1904 წელს ქალთა მე-2 გიმნაზიის ღარიბ მოსწავლეთა სასარგებლოდ წარმოდგენილი იქნება „ჰუგენოტები“ 4 მუს. მეიერბერისისა
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დონსკაია-ეიხენვალდ, ტულერ, ნიკიტსკაია, ხარიტონივა; ბ-ნნი: სიკაჩინსკი, ობროზცოვი, გალეცკი, ბაგროვი, დემიანენკო, ზალინსკი, მურატოვი.
კაპელმეისტერი ეიხენვალდი ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
10 ნოემბ. ქართული წარმოდგენა: „ივდითი“ და „ნაპერწკალი“. გამგე ი. ა. კელლერი.

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
ა. ი. ბალდარაშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
მ. ტ. მუღნინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის ყოველ-დღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
ლ. ი. ძამოენტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობ. თ, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ი. ტ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ქ-ნ. ლაიდე ე. ქ. იოსელიანი.—ქალისა და საბავშვო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
ა. ი. ბილიძე.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
დ. გ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობ. 1—2 საათამდე.
პ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
ბ. ვ. ხოზოლიშხძე.—ხირურგია და ორთოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.
საღამოთი:
ა. ვ. ხოზოლიშხძე.—ხირურგია და ორთოპედია. ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ს. დადიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი სამკურნალოში მწოლარეებისათვის მორიგებით. ცალკე ოთახი დღეში დარიხ [illegible] მან. საზოგადო ნომერი 5 მან.
ადრესი: ტფილისი, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეექვსე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 4. [illegible] 34 Б.
ტელეფონი № 271.

ექიმი
ი. ე. გამბურგერი
გრიბოედოვის ქ.—27. იღებს შინაგანითა და ნერვებით ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდის. სამკურნალო-სადიაგნოზო კაბინეტი ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევანი ნახველისა, სისხლისა, შარდისა და სხვ. (80—365—3)

კბილის ექიმი
ივანე ა. ახალშენიშვილი
[illegible]: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის (№ 21) ქ. კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, №№ 32, 21, სახლი ხარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ყორღანოვის ქ., № 16, საკუთ. სახ., ტელ. 7 2.

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
იღებს სიფილისით და ვენერიულ სნებით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—16)

კბილის ექიმი
ელ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათ. (თვ.—ნ.—27)

ექიმი
ა. ნ. თოთრაძე
სუდებნაია, სახლი № 24, აფთიაქის თავზე. იღებს შინაგან, ნერვების და ბავშვების ავადმყოფებს საღამოს 5—8 საათამდე. მიკროსკოპით სინჯავს ნახველს, შარდს, სისხლს და სხვ. (37—366—3)

ექიმი
ზ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვებს. ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—6 საღ. მიხეილის პრ. № 154 ტელეფონი № 825. (90—296—24)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ

ცინკოგრაფია
წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა
ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.
კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიულ სურათებიდან და ხელით ნახატებიდან.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“
7 ნოემბერი.

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის დეპეშა მის უდიდებულესობას, 5 ნოემბერს: „5 ნოემბერს ღამე შეტაკებათა შესახებ მოხსენება არ მოსულა, რასაც უქვეშევრდომილესად ვაუწყებ თქვენს უდიდებულესობას“.

ხარკოვი, 7 ნოემბერი. სამხრეთ რუსეთის სამთო მრეწველთა მე-29 კრებაზე გადაიხადეს პარაკლისი მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების გამო, წარმოთქმული იქნა მრავალჟამიერი ხელმწიფე იმპერატორის, ხელმწიფე-დედოფალთა, მემკვიდრე ცესარევიჩისა და მთელი საიმპერატორო გვარეულობის სადღეგრძელოდ და დაადგინეს, გადასდონ მემკვიდრე ცესარევიჩის დაბადების აღსანიშნავად 50 ათასი მანეთი, რათა დახმარება გაუწიონ ომში გაგზავნილ, დაჭრილ და მოკლულ სამთო მუშათა ოჯახებს; დაადგინეს აგრეთვე სთხოვონ მიწათ-მოქმედების მინისტრს მათი უქვეშევრდომილესი გრძნობანი გამოუცხადოს მის უდიდებულესობას. ამ დადგენილების კითხვის დროს დამსწრენი ფეხზე იდგნენ; ბოლოს გაისმა „ურას“-ს ძახილი და მომღერალთა ხორომ ნაციონალური ჰიმნი იგალობა. უქვეშევრდომილესი დეპეშა რომ წაიკითხეს, ხელ-ახლად „ურა“ გაისმა. შინაგან საქმეთა მინისტრის საბჭოს წევრმა ბარონმა როკასოვსკიმ მოკლე პატრიოტულის სიტყვით მიმართა კრების წევრთ, რომელთაც „ურა“-ს ძახილით უპასუხეს.

ასხაბადი. „ზაკასპ. ობოზრ.“-ს რედაქტორ-გამომცემელმა ფედოროვმა მეორედ გამოსცა „წერილი რუსეთის გმირთა შესახებ“, რომელშიაც ნაამბობია სალდათის ვასილ რიაბოვის ღვაწლი. ამ წიგნის 15 ათასი ცალი გამოიცა და 7 ნოემბერს გამომცემელმა უსასყიდლოდ დაურიგა იმიერ კასპიის ოლქისა და გაუგზავნა თურქესტანის ოლქის ჯარებს.

სოხუმი, 7 ნოემბერი. წითელ ჯვრის ადგილობრივმა გამგეობამ გახსნა უფასო სამკურნალო ავადმყოფ და დაჭრილ აფიცრებისათვის.

ხუმალკი, 7 ნოემბერი. სამხედრო და სამოქალაქო უფროსებისა და მცხოვრებთა თანადასწრებით პარაკლისი გადაუხადეს შორეულ-აღმოსავლეთში მიმავალ მსროლელთა ბრიგადას და საარტილერიო დივიზიონს.

ლონდონი, 7 ნოემბერი („როიტ. სააგ.“). უკიდურეს მარჯვენა ფრთიდან მოსული აფიცრები იტყობინებიან, რომ 5 ნოემბერს იქ ბრძოლა დაიწყეს. როგორც სჩანს, იაპონელების განზრახვაა გაიგონ რუსის ჯარის ფრთეების დაწყობილება.

8 ნოემბერი

მუკდენი, 6 ნოემბერი („როიტ. სააგენტო“). იმ ჩინელების სიტყვით, რომელნიც 6 ნოემბერს გამოსულან დალნიდან, 11-ისთვის ელიან ახალ იერიშს იტცეშანზე. უკანასკნელ ათის დღის განმავლობაში ათას-ათასი ჯარის-კაცი მოდის ყოველ დღე. ჩინელები ამბობენ, 1 ნოემბერს 50 ზარბაზანი ვნახეთ დალნში მიტანილიო. ზოგიერთი ზარბაზანი დაზიანებული იყო, ზოგი სრულიად დაუზიანებელი. ჩინელებს 150 ტყვეც უნახავთ, იმათ შორის 3 აფიცერი ყოფილა. დალნის მცხოვრებლები ფიქრობენ, რომ იაპონელები 11 ნოემბერს საერთო შტურმს მიიტანენ პორტ-არტურზეო. უმთავრეს ძალას იტცეშანს დაატანენო. ამას წინად იაპონიიდან კიდევ 5 დიდი ზარბაზანი მოიტანეს. რუსის კონსულს პორტ-არტურიდან წერილი მოუვიდა; წერილში ატყობინებენ, იაპონელები საკვირველ გრძელ ყუმბარას ისვრიან ტრანშეებშიო. აფეთქების შემდეგ ეს ყუმბარა ისეთ საძაგელ სუნს უშვებს, რომ სალდათებს გული უღონდებათ, თუ დროზე ვერ მიასწრეს და ტრანშეიდან ვერ გადააგდეს, მაგრამ ამ ყუმბარის გაზი მაინც არა ჰკლავს კაცსა.—გემები „ტაიპინგ“-ი და „პროგრეს“-ი 1000 ჩინელით 6 ნოემბერს ვლადივოსტოკიდან მოვიდნენ. ამ გემების კაპიტნებმა სთქვეს, რომ გემმა „ალანტონ“-მა, სამხედრო მასალით დატვირთულმა, 30 ოქტომბერს მიატოვა ვლადივოსტოკი და პორტ-არტურში შესვლას აპირობსო. სხვა წყაროდან იუწყებიან, გემმა „ვიქტორია“-მ პორტ-არტურში შესვლა მოახერხაო. გემ „ტაიპინგ“-ის პასაჟირები ამბობენ, კრეისერი „ბოგატირ“-ი დოკიდან გამოვიდაო.—იაპონელებს ნიუჩუანიდან დიდ-ძალი საკვები სურსათი, ტანისამოსი და სამხედრო მასალა მიაქვთ ჯარისათვის; ჰშურობენ ყველაფერი ადრე მიზიდონ, სანამ მდ. ლიაოხე გაიყინება.

პორტ-საიდი, 7 ნოემბერი. („როიტერი“). რუსის ესკადრას ოთხშაბათს მოელიან აქ.

კოპენჰაგენი, 7 ნოემბერი. რუსის დამატებითი ესკადრა დილით ლანგელანდის კუნძულიდან ჩრდილოეთისაკენ წავიდა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“.
6 ნოემბერი

ტოკიო, 7 ნოემბერი. ოიამა იუწყება, რომ 6 ნოემბერს შუადღისას, ლიაუშანტუნის ახლოს, იაპონელთა არტილერიამ ყუმბარები დაუშინა და უკან დაახევინა რუსების ქვეითა ჯარის რაზმს, რომელიც გზას უმზადებდა დიდ ზურგის ჯარს გამოსალაშქრებლად. დანარჩენ ადგილებში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. გენერალი ნოგი იუწყება, რომ 6 ნოემბერს ღამე იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს და ააფეთქეს საწყობი თოფხანის ახლოს. ფორტების წინააღმდეგ მოქმედება წინდაწინვე შემუშავებულ გეგმის თანახმად სწარმოებს.

დამატ. დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. მუკდენიდან დეპეშით ატყობინებენ „ბირჟევია ვედომოსტი“-ს: ბოლოს დროს თბილი, მზიანი დღეები იდგა, მაგრამ 30 ოქტომბერს ღამით ამინდი შეიცვალა: ჩრდილოეთის ქარი ამოვარდა, ცა შავის ღრუბლებით შეიმოსა, წვიმამ დაუშვა, მერე თოვლი დაიწყო; 31 ოქტომბერს ისევ წვიმამ დაუშვა, ისევ ქარი ამოვარდა.

„რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი ლოდიჟენსკი 1 ნოემბერს დეპეშით იუწყებოდა: „ხმა დადის, გუშინ რუსის განაპირა მარჯვენა ფრთაზე ზარბაზნის სროლის შემდეგ თოფის სროლა ასტყდაო. გუშინ საღამოს სუიატუნში (რკინის გზის სადგურია მუკდენიდან 15 ვერსტზე) სასანიტარო მატარებელში 47 დაჭრილი რუსის სალდათი ჩასხეს, მუკდენშიაც ერთი დაჭრილი მოიყვანეს. გენ. ლინევიჩი პირველ არმიის უფროსობას შეუდგა. ხმა დადის, იაპონელები ამ დღეებში იერიშის მოტანას აპირობენ რუსის ჯარზეო, მაგრამ მე არა მჯერა ეს ხმა. მზიანი დღეებია, ჰყინავს.“

„რუს“-ის კორესპონდენტი ბ. ორლოვეცი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: „იაპონელებმა მეტად გააძლიერეს თავიანთი მოწინავე რაზმები. დარაჯები ათ ნაბიჯზე დგანან ერთი-ერთმანეთიდან. რუსის დარაჯები უსაფროდ დგანან, იაპონელი დარაჯები კი საფრებში არიან დამალულნი, მოხსენებასა და ბრძანებასაც ერთმანეთს სასტვენებით ატყობინებენ“. ამის თაობაზე ერთი რუსი სამხედრო მიმომხილველი შენიშნავს: უნდა გამოტეხით ვთქვათ, რომ იაპონელები რუსებზე უფრო დახელოვნებულები გამოდგნენ და სამხედრო საქმის თეორია სულ შესცვალესო. („რ. ლ.“).

„ნოვოსტი დნია“-ს კორესპონდენტი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: რუსის მზვერავებმა ცნობა მოიტანეს, იაპონელები ძლიერ ამაგრებენ მდ. ტაიძიხეს მიდამოებსაო.

„პრავიტელსტვენნი ვესტნიკ“-ს დეპეშით ატყობინებენ მუკდენიდან: რუსის მთავარსარდალმა 17 ოქტომბერს შემდეგი ბრძანება გასცა: 25 სექტემბრიდან 11 ოქტომბრამდე ბრძოლის ველიდან მუკდენში და იქიდან ჩრდილოეთისაკენ 828 დაჭრილი აფიცერი გაისტუმრეს, 28,479 დაჭრილი სალდათი, 198 სნეული აფიცერი და 3,827 სნეული სალდათი. მთავარ-სარდალი დიდ მადლობის უცხადებს არმიის სასანიტარო ნაწილის უფროსს გენ.-ლეიტ. ტრეპოვს, საავადმყოფოების ინსპექტორებს გენერალ-მაიორ ეზერსკის, წითელ ჯვრის მთავარ რწმუნებულს ალექსანდროვსკის და სხვებს დაჭრილების მოვლისა და დაბინავებისათვის. („პ. ვ.“).

მოსკოვში ცნობა მიიღეს სასანიტარო რაზმების მოქმედებაზე. 29 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე დაჭრილები 46 მატარებელს გადაჰყავდა ბრძოლის ველიდან ხარბინამდეო. საქონლის მატარებლებით 26 ათასი დაჭრილი გადაიყვანეს, სასანიტაროებით—7 ათასი, სულ 33 ათასი დაჭრილი გადაიყვანესო. ამათგან 1000 კაცამდე მალე ისევ ჯარში დაბრუნდა. გზაში 1400-ზე მეტი მძიმე დაჭრილი სხვა-და-სხვა საავადმყოფოში დააბინავეს. მატარებლები ბრძოლის ველიდან ხარბინამდე (500 ვერსზე მეტია) 2—6 დღეს მიდიოდნენ. გზაში დაჭრილებს საჭმელი ეძლეოდათ, მუკდენის ვაგზალში 22,230 დაჭრილს აჭამეს სადილი. ხარბინში დაჭრილებს არჩევდნენ; ზოგი ზევით მიჰყავდათ, ზოგს იქვე სტოვებდნენ. ნიკოლსკ-უსურიისკში ყოველ დღე 700-მდე დაჭრილი მიჰყავდათ, 14 ოქტომბრამდე 5 ათასზე მეტი დაჭრილი მოგროვდა იქა. ბევრი უფრო ტყვიისაგან იყო სუმსუქად დაჭრილი. ამათგან 75% საავადმყოფოში საშუალოდ 20 დღის წოლის შემდეგ ჯარში დაბრუნდა. („რ. ვ.“).

„როიტერის სააგენტო“ იუწყება: „რუსული სამხედრო გაზ. „ვესტნიკ მანჯურსკოი არმიი“ (მუკდენში გამოდის) სწერს: იაპონელები მოკლულ რუსებსა და იმათ ცხენებს, ბრძოლის ველზე ნაპოვნს, დიდის მზრუნველობით ეკიდებიან და კარგად უვლიანო. გაზეთი იწონებს იაპონელების ქცევას და უმატებს, გენ. კუროპატკინი ურჩევს რუსის აფიცრებს, იაპონელების მაგალითს მიჰბაძეთო. („რ. ვ.“).

ვენური გაზ. „ცაიტ“-ი შემდეგს სწერს იაპონიის ახალ სესხის თაობაზე: არა გვგონია იაპონიას ამ ჟამად ფული უჭირდეს. ადრე მაისში, როცა რუსეთმა ფულის სესხება დააპირა, იაპონიამ დაასწრო და პირველმა თითონ ისესხა; ეხლა ისევ ხმა დადის, რუსეთი ფულის სესხებას აპირობსო და იქნება იაპონიამ ეხლაც მხოლოდ რუსეთის დასასწრობად აიღო სესხი, თორემ ფული არ უნდა უჭირდესო. („რ. ვ.“).

„დეილი ექსპრეს“-ის პარიზელი კორესპონდენტი იუწყება, საფრანგეთი და ინგლისი რუსეთისა და იაპონიის მორიგებას ცდილობენო. („რ. ლ.“).

დეპუტატმა დელფოსმა საფრანგეთის პალატაში ილაპარაკა, იაპონია მუდამ მზადაა, საფრანგეთის კოლონიებს შორეულ აზიაში დაეცესო. დელფოსი ამტკიცებდა, ეხლანდელ ომის წინად იაპონიაში ბევრს ჰსურდა ინდოჩინეთში გალაშქრებაო. ჟორესმა დელფოსის წინააღმდეგ ილაპარაკა და იმისი საბუთები სულ გააქარწყლა. იაპონიის დიპლომატმა ცნობილმა ბარონმა სუემაცუმ მაშინვე წერილით მადლობა გადაუხადა ჟორესს, რომ იაპონიაზე ასე სამართლიანად ილაპარაკა. სუემასუ არწმუნებს ჟორესს, იაპონიას ფიქრადაც არ მოსვლია საფრანგეთის კოლონიებზე დაცემაო: თუ საფრანგეთი თითონ არ გამოიწვევს, იაპონია პირველი არას დროს არ დაიწყებს ომსაო. დელფოსისა და სხვების ლაპარაკი იაპონიის საიდუმლო განზრახვაზე ნამდვილი პროვოკაციად უნდა ჩაითვალოსო. („ნ. დ.“).

იქით კვირის ხუთშაბათს დეპუტატთა პალატაში ჟორესს სიტყვა წარმოუთქვამს საფრანგეთის გარეშე პოლიტიკაზე და, სხვათა შორის, უთქვამს: შორეულ-აღმოსავლეთში საფრანგეთი ინგლისთან ხელი-ხელ ჩართული უნდა მოქმედებდესო. („რ.“).

დიდ-ოკეანის მეორე ესკადრა. ბერლინურ გაზ. „პოსტ“-ში ერთის გერმანელი ადმირალის წერილია დაბეჭდილი დიდ ოკეანის მეორე ესკადრაზე. ადმირალი სწერს: ადმირალ როჟესტვენსკის მეტად ძნელი საქმე ჰხვდა წილად. პორტ-არტური დიდ განსაცდელშია ჩავარდნილი და საეჭვოა, რომ რუსის ესკადრის მისვლამდე გასძლოს. ვლადივოსტოკს ჯერ ალყა არა აქვს შემორტყმული, მაგრამ ვინ იცის, რა ყოფაში იქნება სამის თვის შემდეგ. ადმ. როჟესტვენსკის-კი ორივე ეს პორტი უნდა ჰქონდეს ხელთა, რომ ადმირალ ტოგოსთან ბრძოლა შეიძლოს და იაპონიის ფლოტს ზღვაში ბატონობა ხელიდან გამოჰგლიჯოს. რუსის ესკადრა განსაკუთრებით იმ აზრით გაიგზავნა შორეულ აღმოსავლეთს, რომ ზღვაში ბატონობა მოიპოვოს. ამიტომ იაპონიის ფლოტიც ყოველ ღონეს იღონებს და არაფერს დაიშურებს, რომ ზღვაში ბატონობა რუსების ხელში არ გადავიდეს, რადგან იაპონელების ბედი ამ ბატონობაზეა დამოკიდებული. რამ წამს რუსის ესკადრა ყვითელ ზღვას მიაღწევს, ისეთი ამბები დატრიალდება, რომ მთელ ქვეყნიერობას აღელვებს. ყველანი გატაცებით ადევნებენ თვალყურს რუსის ესკადრის მგზავრობას და მოუთმენლად მოელიან მოპირდაპირეთა შეხვედრას. იაპონიის საზღვაო სამინისტრო ეხლავე ბეჯითად ემზადება და ყოველ-ნაირ თადარიგს იჭერს რუსის ესკადრის დასახვედრად. მალე ისეთი საშინელი, მედგარი ბრძოლა მოხდება ზღვაში, რომ საზღვაო ისტორიას არც კი ახსოვდესო. („ნ. ვ.“).

„ბერლინერ ტაგებლატ“-ის პარიზელი კორესპონდენტი იუწყება: დიდ-ოკეანეს მეორე ესკადრის რაზმები კუნძულ მადაგასკარზე შეიკრიბებიან, იქ ქვა-ნახშირს დაუდებენ და მერე გზას გაუდგებიანო. ვლადივოსტოკს ესკადრა 2½ თვის შემდეგ მიაღწევს. ტანჟერიდან იუწყებიან, რუსის გემები არ დაზიანებულაო. („რ.“).

„მორნინგ პოსტ“-ის კორესპონდენტი იუწყება კოპენჰაგენიდან: რუსის ესკადრამ და-

ნიის ზღვაში დანიის ნაღმიან გემ „სებიორნენ"-საც დაუშენ თურმე ზარბაზანი. ეს ამბავი მხოლოდ ეხლა გავიგეთ დაწვრილებით. ნაღმიან გემმა „სებიორნენ"-მა და „ჰეიმატ"-მა ბძანება მიიღეს, რუსის ესკადრას გაჰყევით და თვალ-ყური ადევნეთო. მოხდა ისე, რომ ამ გემებმა გზაში რაღაცა საქმეზე სიგნალები მისცეს დანიის სხვა გემებს. რუსის გემებმა, დაინახეს ეს სიგნალები თუ არა, სინათლე ჩააქრეს და ერთ ნაღმიან გემს ზარბაზანი დაუშინეს; ნაღმიანი გემი ხელად მოტრიალდა, უკან გაქანდა და მხოლოდ გაქცევით უშველა თავსა. („რ.").

საუბარი ნამესტნიკ ალექსეევთან. „პტი პარიზიან"-ისა და „ეკო დე პარი"-ს კორესპონდენტებს გენ.-ად. ალექსეევთან უსაუბრნიათ. გენ.-ად. ალექსეევს გადაჭრით უარუყვია ის ხმები, ვითომ ნამესტნიკი გენ. კუროპატკინის საქმეში ერეოდაო. კორესპონდენტებს უკითხავთ, ამბობენ ვაფანგოუსაკენ თქვენის სურვილით გაიგზავნა ჯარიო. გენ.-ად. ალექსეევს უპასუხნია: „ყველაფრის თქმა შეიძლება. გენ. კუროპატკინისათვის არასოდეს ძალა არ დამიტანებია, პირიქით მუდამ სრული თანხმობა გვქონდა მე და რუსის არმიის სარდალს. ვაფანგოუსაკენ ჯარი ჩემის სურვილით არ გაუგზავნიათ. არც გალამშკრების თაობაზე გამოცემული ბრძანებაა ჩემის განკარგულებით დაწერილი. მუკდენში რომ ჩაველ, მხოლოდ იქ გავიგე პირველად, რომ ეს ბრძანება (გენ. კუროპატკინის ბრძანება, 19 სექტემბერს გამოცემული) გამოეცხადებინათ. გაზეთებისაგან გავრცელებული ხმები, ვითომ მე და გენ. კუროპატკინს უთანხმოება გვქონოდეს სულ სიცრუეა და ცილის წამება. კორესპონდენტებს უკითხავთ, პორტ-არტური გასძლებს ბალტიის ესკადრის მოსვლამდეო. ნამესტნიკს მიუგია: „იმედი მაქვს, მაგრამ ამაზე მეტს პორტ-არტურზე ჯერას გეტყვითო".

ბრძოლა მდ. შახეზე 30 სექტემბერს. „რუსკი ლისტოკ"-ის კორესპონდენტი იუწყება: ღამის 3 საათზე იაპონელებმა მედგარი იერიში მოიტანეს რუსის რაზმის მარცხენა ფრთაზე, სადგურ შახეს ახლო. შუა პოზიციაზე რუსის არტილერიის დივიზიონი (24 ზარბაზანი) იდგა პოლკოვნიკ სმოლენსკის უფროსობით; იაპონელები პირდაპირ არტილერიას დაეცნენ. აი რა გვიამბო ერთმა დამსწრე რუსის არტილერისტმა აფიცერმა: „დილის საათის ხუთზე შევნიშნეთ, რომ ჩვენსკენ სალდათები მოდიოდნენ გამკწრივებულები; ამ სალდათების უკან ნახევარ ვერსზე, იქნება ნაკლებ მანძილზედაც, იაპონელების დიდი რაზმები მოდიოდნენ. რუსის სამმავე ბატარეამ (24 ზარბაზანმა) ყუმბარა დაუშინეს იაპონელებს. ამ დროს იაპონელების მოწინავე რაზმი 200 ნაბიჯზე მოგვიახლოვდა, ორად გაიყო და რუსის ორსავე ფრთისაკენ წავიდა. ამ სალდათებს ყურადღება არავინ მივაქციეთ; ყველანი დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ეს ჩვენი რაზმი იყო. იაპონელების უკანა რაზმს გატაცებით ვესროდით ზარბაზანს და ვერც კი შევნიშნეთ, რომ წინა რაზმი პირიდანაც და ზურგიდან მოგვექცა. უცებ ყველა მხრიდან, ახლოდან ტყვია დაგვაყარეს სეტყვასავით. ათი წამი არ გავიდა, რომ თითქმის ყველა სალდათი და აფიცერი ბატარეაზე გაგვიწყვიტეს. პოლკოვნიკმა სმოლენსკიმ უბრძანა სალდათებს, ზარბაზნები ხელით წაიღეთო, მაგრამ პოლკოვნიკი მალე მოჰკლეს. იაპონელები თანდათან რგოლივით შემოგვერტყნენ გარსა. ამ დროს ორი როტა მოგვეშველა, შტიკებით დაერია იაპონელებს, მაგრამ ამაოდ, იაპონელები ბატარეებზე ამოცვივდნენ." რუსის რაზმის უფროსი გენ. რიაბინკინი თავის ბატალიონებით იაპონელებს ეცა და შეაყენა, მაგრამ სოფ. შახეპუ მდ. შახეს მარცხენა ნაპირას მაინც იაპონელების ხელში დარჩა. გენ. რიაბინკინი თავში დასჭრეს და რამდენისამე საათის შემდეგ გარდაიცვალა.

პორტ-არტური. პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ „ბერლინერ ტაგებლატ"-ს: ნამესტნიკმა ალექსეევმა სთქვა, იაპონელები მალე ვერ აიღებენ პორტ-არტურს, ჯერ კიდევ ბევრი მიუვალი სიმაგრე აქვთ ასაღებიო („რ. ლ.").

ბერლინურ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: პეტერბურგში ცნობა მიიღეს, გენ. სტესელი იანვრის დამდეგამდე გაუძლებს იაპონელებსაო. („ნ. დ.").

ჩიფუდან ატყობინებენ „დეილი ტელეგრაფ"-ს: იაპონელ მოხელეებს ჩიფუში კარგი ცნობები მოუვიდათ დალნიდან. იაპონელების დიდმა ზარბაზნებმა შინშინიდან ყუმბარა დაუშინეს პორტ-არტურს და დოკების შეკეთებაზე ხელი აღებინეს რუსებსაო. იაპონელი მოხელეები ამბობენ, რუსის ესკადრა ნავთსადგურიდან აღარ გავაო. ეს იქიდანაც სჩანს, რომ მეზღვაურები სამხედრო გემებიდან ხმელეთზე გადადიან ფორტების დასაცველად; ზარბაზნები და სამხედრო სურსათიც ფორტებზე გადააქვთო. („ნ. ლ.").

„რეიტერის სააგენტოს" კორესპონდენი დეპეშით იუწყება გენ. ნოგის არმიიდან: იაპონელებმა 17 ოქტომბერს აღმოსავლეთ ფორტებზე იერიში მიიტანეს და უმთავრეს ფორტების თხრილები დაიჭირეს; ეს თხრილები უფრო ღრმა, განიერი და ძლიერი გამოდგა, ვიდრე ეგონათ; იკვანშანის ჩრდილოეთით მიწის ქვეშ გვირაბებიც დაიჭირეს გამწვავებულის ბრძოლის შემდეგ, მაგრამ რუსებს კიდევ დარჩათ თხრილის ნაწილი. ეხლა იაპონელებს გვირაბი გაჰყავთ ამ თხრილის ქვეშ; უნდათ, რუსები განდევნონ თხრილიდანაო. („რ. ე".).

„დეილი მეილ"-ის კორესპონდენტი იუწყება: ერლუნგშანის ფორტის წინ კლდეში მეტად განიერი და ღრმა თხრილი ამოუჭრიათ რუსებს და წყლით გაუვსიათო. („რ. ს.").

ჩიფუდან ატყობინებენ „დეილი ნიუს"-ს: გენ. სტესელმა დროებითი შერიგება ითხოვა მოკლულთა დასასაფლავებლად, მაგრამ გენ. ნოგიმ უარი შეუთვალაო. რუსებმა თავიანთ გემებზე ქვიშით სავსე ტომრები დააწყეს და მუდამ ადგილს უცვლიან, რომ ყუმბარა არ მოჰხვდეთო. („ნ. ლ.").

„დეილი ექსპრეს"-ი იუწყება: იაპონიის ესკადრა ბოლოს დროს უფრო ბეჯითად ჰდარაჯობს პორტ-არტურს, რადგან ჩინელების ჯონკებს სურსათი შეაქვთ პორტ-არტურშიო. სამხედრო და საკვები სურსათი რუსებს საკმაოდ აქვთ; ყუმბარებიც, მეტადრე საშუალო ზარბაზნებისათვის, საკმაოდ აქვთ, მაგრამ დიდი ზარბაზნებისა გაუცვდ [illegible] სასმელი წყალიც აკლიათო. („ნ. ლ.").

ცინდაოდან ცნობა მოვიდა, პორტ-არტურში ამ ჟამად 15 ათასი სნეული და დაჭრილი წევს საავადმყოფოშიო. („რ. ვ.")

ახალი ამბავი

◆ 8 ნოემბერს რკინის გზის კონდუქტორი ნიკოლოზ ვოლსკი რკინის გზის საავადმყოფოში დააწვინეს. ვოლსკის **ხოლერის ნიშნები აღმოაჩნდა.** ავადმყოფმა განაცხადა, 5 ნოემბერს რკინის გზით გუმბრიდან ჩამოველიო.

◆ 6 ნოემბერს, დილის 8 საათზე, ტფილისის სადგურზე, მესამე კლასის ზალაში ნახეს **ხოლერით** ავადმყოფი, რომელიც ყარსის მატარებლით მოსულიყო და ტრაპიზონს მიდიოდა. მგზავრი ჯულფის გზის მომუშავე აღმოჩნდა ბერძენი ივანე ამბორიჩი. ავადმყოფი რკინის გზის ბარაკში დააწვინეს.

◆ ამ წლის სექტემბერში ჭიათურის შტოთი გაუტანიათ შავი ქვა: ჭიათურიდან—1.181,250 ფ. ჭიქოურიდან—717,000 ფ., სულ 1.898,250 ფუთი. ამ წლის პირველ ოქტომბრამდის შავი ქვის საწყობებში ეწყო: ჭიათურაში—12.663,000 ფ., ჭიქოურაში—9.407,000 ფ., დარკვეთში—643,000 ფ., სულ 22.712,000 ფუთი. სექტემბერში ფოთიდან გაუტანიათ: ჰოლანდიაში—585,900 ფ., ბელგიაში—275,900 ფ., სამხრეთ რუსეთში—566,500 ფ., სულ 1.428,300 ფუთი. ბათუმიდან გერმანიაში გაუტანიათ—100,700 ფ., სულ ფოთიდანა და ბათუმიდან გასულა 1.529,000 ფუთი. მსოფლიო ბაზარზე ფასები შავი-ქვისა ერთს ლითონზე 8 პენსს არ ასცილებია.

◆ გუშინ, 8 ნოემბერს, ამიერ-კავკასიის რკინის გზის მოძრაობის უფროს ბერნდთან იყვნენ **ჭიათურის შავი-ქვის საბჭოს** წევრნი. როგორც მკითხველებს უთუოდ მოეხსენებათ, სახალხო მატარებლების მიმოსვლა ქუთაისისა და ჭიათურისთვის მეტად უხერხულ დროს არის დანიშნული. საბჭოს წევრებს უთხოვნიათ, შესცვალონ მიმოსვლის დრო. ბ-ნ ბერნდს პირობა მიუცია, დამატებით მატარებელს დავნიშნავთ და ვეცდებით შევცვალოთ მიმოსვლის დროცაო.

◆ მოგვივიდა „**ხომხურ დრამატიულ საზოგადოების**" ანგარიში 1903—4 წლისა. საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოებას გაუმართავს 36 წარმოდგენა და შემოსვლია 16,965 მ. და 1 კ. თითო წარმოდგენაზე მოუდის—471 მ. და 25 კ. ხარჯი ჰქონია 24,718 მ. და 82 კ.; დეფიციტი—7,753 მ. და 81 კ., რომელიც დაუფარავთ კერძო შემოწირულებითა თუ საქველმოქმედო წარმოდგენის გამართვით.

◆ **შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს მდივნად**, განსვენებულ ალ. ქ. ნანეიშვილის ადგილზე, მიწვეულ იქნა ფოთის ქალაქის მოურავის მოადგილე იაკობ ფანცხავა.

◆ ოთხშაბათს, 10 ნოემბერს გუბერნატორის თავმჯდომარეობით მოხდება კრება, რომელზედაც განხილულ უნდა იქმნას საინტერესო საკითხი: ექიმთა როგორი ორგანიზაცია უნდა შესდგეს **ფაბრიკებისა** და **ქარხნე** [illegible] ფონის დრ [illegible]

◆ გუშინ [illegible] ათამდე კაცმა [illegible] დასცეს ტფილისი [illegible] გამგეობას და სთხოვეს ფქვილის გაძვირების გამო **პურის ნიხრის მომატება.**

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 8 ნოემბერს **ქალაქის სტიპენდიები** დედათა მეორე გიმნაზიაში დაუნიშნა რუსეკ არუთინოვს, ანტონინა მოსტიკოვს, ანასტასია პაპიტოვს და ბარბარე მელიქ-მეგრაბოვს, ხოლო პირველ დედათა გიმნაზიაში—თამარა ხუჩატუროვს.

◆ **პოლიციის** მე-9 ნაწილში, ვაგზლის ქუჩაზე, 6 ნოემბერს, ღამე, შემდეგი ბოროტმოქმედება მოხდა: ქვაფენილზე თავისთვის მიდიოდა ორი კაცი, ტფილისის მცხოვრებნი ალექსანდრე კოკუაშვილი და მიტრო კორჩაგინი. უეცრად ვიღაც უცნობი კაცი მიუვარდა, იძრო ხანჯალი და სრულიად უმიზეზოდ დასჩხრა ორივე. კოკუაშვილი მიხეილის სამკურნალოში რამდენისამე წამის შემდეგ გარდაიცვალა; მეორეს მორჩენაც საეჭვოა. დამნაშავე შკვე დააპატიმრა პოლიციამ.

◆ პირუტყვთა მფარველ საზოგადოების გამგეობამ სთხოვა გუშინ ტფილისის ქალაქის გამგეობას, წასულ წლებისავით 300 მან. შემწეობა აღმოუჩინოს საზოგადოებას 1905 წელსაც.

◆ გუშინ, 8 ნოემბერს, ერევნის მოედანზე, უსახელო საზოგადოების ვაგონი დაეჯახა ეტლს, რომელსაც გაუტყდა წინა ღერძი. ვაგონის ერთი ცხენი დაშავდა. ხალხი უვნებლად გადარჩა.

◆ თელავის მაზრაში შემდეგი ამბები მომხდარა ოქტომბრის მეორე ნახევარში: 1. გაიქცა ტუსაღი დავით კუნძოშვილი, როდესაც იგი სასამართლოდან საპყრობილეში მიჰყავდათ; 2. სოფ. ენისელის მცხოვრებმა ალექსი კიკვაძემ ჩხუბის დროს ხანჯლით მძიმედ დასჭრა სოფ. კურდღელაურის მცხოვრები ბიზინაშვილი; 3. ბადრია ოსიფაშვილის ქარხნიდან 400 მანეთის ყველი მოუპარავს ვიღაც ქურდებს; 4. ზავრიევის სააბრეშუმო ქარხნიდან 300 მანეთის ყაჭი მოიპარეს; 5. სოფ. რუისპირის მცხოვრებმა ალექსანდრე მამუკაშვილმა სასიკვდილოდ დასჭრა სერბიის ქვეშევრდომი ნიკოლოზ გიორგიევიჩი; 6. სოფ. იყალთოში დავით დემურხანაშვილმა თავ. მაყაშვილის ბაღში თოფით მოჰკლა თავისივე ერთ სოფლელი სანდრო მრელაშვილი; 7. სოფ. ურიათუბანში ძლიერმა ცეცხლმა გადაბუგა მთელი სარჩო-საბადებელი და სახლ-კარი ადგილობრივ მკვიდრის სოლო გამაზაშვილისა; 8. სოფ. კონდოლის მცხოვრებმა ივანე მთიულაშვილმა თოფით მოჰკლა თავისივე ერთ სოფლელი აბრამ ფეიქრიშვილი, რომელიც მთიულაშვილის დედის გაუპატიურებას აპირებდა; 9. თავ. ჭავჭავაძის ბაღში სოფ. ურიათუბანში იპოვეს თოფით მოკლული სოფ. კაკაბეთის (სიღნაღის მაზრა) მცხოვრები ნიკოლოზ მოვლილაშვილი, რომელსაც მთელი სოფელი ქურდათ იცნობდა. მოკლულთანვე იპოვეს 3 კამეჩი, ყვარლის საზოგადოებიდან მოპარული; 10. სოფ. კურდღელაურის სამოსამართლო განყოფილებას ვიღაც პირებმა ცეცხლი წაუკიდეს; 11. სოფ. ყვარელში ადგილობრივ მემამულის ჭავჭავაძისთვის დიდი ზარალი მიუყენებიათ ცეცხლის წაკიდებით; 12. სოფ. ყვარელში ალექსი საკაშვილმა მოჰკლა ხანჯლით მამასახლისი სოფ. ყვარელის მკვიდრი თეიმურაზ ზაუტაშვილი; 13. კისისხევში ზაქარია ბახუტაშვილმა ცულით თავი გაუპო სოფ. კისისხევის მცხოვრებს ზაქარია ახალმოსულაშვილს, რომელიც საქონელს იჭერდა და არ აკვლევინებდა. ხალხი ახლა ბახუტაშვილს მისცვივდა და სასიკვდილოდ დააოსა ცემა-ტყებით.

◆ სად. აგტაგლია. 7 ნოემბერს მიმავალ მატარებლიდან მე-256 ვერსზე გადმოხტა ივანე გოგოლაშვილი, რომელიც ჩავარდა ვაგონებ ქვეშ და მარცხენა ფეხი მოსწყდა. დაშავებული ტფილისის რკინის გზის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

ბაქო. 4 ნოემბერს, დილის 5 საათსა და [illegible]თზე, ლიანდაგს გადადიოდა მარიამ ოჰანეზოვა [illegible] მოასწრო მატარებელმა და ორივე ფეხი მოსჭრა. დაშავებული ბაქოს რკინის გზის საავადმყოფოში დააწვინეს.

◆ სად. სამტრედია. 4 ნოემბერს ვარლამ ბარაბიძეს მატარებლიდან გადმოსვლის დროს ფეხი აუცდა და მატარებლის ქვეშ ჩავარდა და დაშავდა.

◆ სად. ბორჯომი. 7 ნოემბერს, ნაშუადღევის 4 საათზე, სახალხო მატარებლის ქვეშ უცაბედათ ჩავარდა საბეითლო ფელშერი იაგუში და და იქვე სული დალია.

პრესსა

ერობათა მიმართ მთავრობის უნდობლობა ამბობს—„რუსკ. ვედ."-ი—ყველაზე უფრო მწვავედ გამოიხატა გაჭირვებულ ხალხის დახმარების სფერაში. მთელი 25 წლის განმავლობაში რუსეთის ერობა სცდილობდა დაახლოვებოდა ხალხს, და ყველა ცდა უნაყოფო იყო, რადგან გზაზე ბიუროკრატიული რეჟიმი ელობებოდა. ერობის მოქმედების დაბრკოლება ყველაზე უფრო ნათლად სჩანს გლეხთათვის იაფ-ფასიან კრედიტის მოწყობის საქმეში.

ვინ არ იცის,—ამბობს „რუსკ. ვედ."-ი,—რომ გლეხები უმრავლესად მევახშეთა ბრჭყალებში არიან ჩავარდნილნი. გაჭირვების დროს როცა, მაგალითად, გლეხმა გადასახადები უნდა შეიტანოს, იგი გულმოდგინედ ეძებს ფულს სასესხებლად. არაფერს ზოგავს, რომ კარზედ მომდგარი გაჭირვება დროებით მაინც მოიშოროს თავიდან. ხშირად მოხდება ხოლმე, რომ გლეხი თვეში 10 პროცენტად სესხულობს ფულს, ე. ი. წელიწადში ნასესხებ მანათისათვის 1 მან. 20 კაპ. სარგებელს აძლევს მოვახშეს და საბოლოოდ ებმება ამ ობობას ქსელში, თავის უძრავ და მოძრავ ქონებას დაუგირავებს ხოლმე.

თითქმის ასი წელიწადია მას შემდეგ, რაც ადმინისტრაციამ შეიგნო ხალხისათვის მცირე კრედიტის მოწყობის საჭიროება. ბევრჯელ ოფიციალურადაც გამოაცხადა მთავრობამ თავის აზრი ამ საქმის შესახებ. მოსალოდნელი იყო, რომ მთავრობა ან ნებას მისცემდა ერობათა და საზოგადო დაწესებულებათ მოეწყოთ ეს საქმე, ან თვითონ მოაწყობდა სხვების დაუხმარებლად. მაგრამ მოლოდინი გაცრუვდა: მთავრობამ არც თვითონ იკისრა, არც სხვას აკისრებინა ხალხისათვის ფრიად მნიშვნელოვან მცირე კრედიტის მოწყობა. ერობამ თავის არსებობის პირველ 20 წლის განმავლობაში 34-ჯერ მიმართა მთავრობას შუამდგომლობით, ნება მიეცა ხალხისათვის მცირე კრედიტის გასამართავად და 34-ჯერვე მთავრობამ უარჰყო ერობის შუამდგომლობა. ბოლო დროს, როცა ხალხის გაჭირვება კიდევ უფრო გაძლიერდა, ერობამაც გაუხშირა მთავრობას თხოვნა მცირე კრედიტის ნებართვის შესახებ. ზოგიერთმა ერობამ მოიპოვა ნებართვა, მაგრამ წარდგენილი პროექტები და წესდებანი იმნაირად შემოკლებულ-დამახინჯებული დაუბრუნდა, რომ თითქმის სრულიად დაეკარგა მნიშვნელობა. მაგალითად, პერმის ერობის შინა სამრეწველო ბანკის პროექტმა მთელი 6 წელიწადი იმგზავრა სხვა და სხვა კანცელარიებში, ბოლოს იმდენად დამახინჯებული დაბრუნდა, რომ ერობას ამ საქმეზე ხელი უნდა აეღო.

1898 წელს მთავრობამ გამოსცა ცნობილი კანონი, რომლითაც სრულიად აეკრძალათ ერობათ მონაწილეობა საზოგადოდ საკრედიტო დაწესებულებებში. ამ კანონის ძალით დაიხურა ერობის საკრედიტო დაწესებულებათა მცირე რიცხვი, რომელიც კანონის გამოცემის დროს არსებობდა და ერობას უკანასკნელი იმედი წაერთვა.

შემდეგ გაზეთს მოჰყავს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ეკიდებოდა მთა-

ფელეტონი

რუსეთის ცხოვრება

ეხლანდელი ნდობა და წინანდელი უნდობლობა.—რა ბედი ეწვია ზოგიერთ საზოგადოებას.—სამკითხველოები და პისკარევი პისარევის ნაცვლად.—„სხვა-და-სხვა მიზეზების" მნიშვნელობა.—ორი შუამდგომლობა.—როგორი უნდა იყოს ნდობა.

ამ ბოლო დროს, მოგეხსენებათ, ძალიან მოუხშირეს „ნდობაზე" ლაპარაკს. ჯერ-ჯერობით „ნდობა" სიტყვიერად და ამასთან დაპირების სახით გამოიხატა, მაგრამ წინანდელი უნდობლობა იმდენად საგრძნობელი იყო, რომ ამ მცირე რამემაც-კი აათრთოლა საზოგადოება. ბოლო დროს საქმე იქამდე მივიდა, რომ საზოგადოებას და საზოგადოებრივ დაწესებულებებს არავითარ საქმეში არ შეეძლოთ თავისუფლად მოქმედება და მუშაობა. ყველაფერი ბიუროკრატიას დაემორჩილა. ყოველივე ფეხის გადადგმა, მოქმედება და საქმიანობა განსაკუთრებულის წესებით განისაზღვრა. დაუკითხავად და ნება დაურთველად აკრძალა სულ უმნიშვნელო საქმის გაკეთებაც-კი...

ყველაზე უფრო მეტად ეს უნდობლობა შიდა რუსეთში ერობის მიმართ გამოიხატა, შეიძლება იმიტომაც, რომ ერობა უფრო ცხოველ-მოქმედი და ნაყოფიერი დაწესებულებაა. ყველას ახსოვს დღესაც მოსკოვის საერობო დაწესებულებათა რევიზია მინისტრის ამხანაგად ნამყოფის ბ-ნ ზინოვიევის მიერ და, როგორც შედეგი რევიზიისა, ამ ერთის წლისა თუ წლი-ნახევრის წინად მოსკოვის საერობო გამგეობის თავმჯდომარის დ. ნ. შიპოვის არ დამტკიცება. უნდა ავღნიშნოთ, რომ შიპოვი საუკეთესო მოღვაწედ ითვლება მთელ რუსეთში. ღრმად განათლებული, დიდად ნიჭიერი, მეტად მხნე და ორგანიზატორობის უნარით აღჭურვილი შიპოვი ინიციატორი იყო ყოველ ახალ და საკეთილო საქმისა საერობო ასპარეზზე. აი, ასეთი კაცი იცნეს არა კეთილ სამედო ადამიანად. რა თქმა უნდა, „მოსკოვ. ვედ." და „გრაჟდ." დიდის სიხარულით მიეგებნენ ამ ამბავს. ისე სწერდნენ და ლაპარაკობდნენ, გეგონებოდათ, რუსეთი მტრის აკლებისა და აოხრებისაგან დაუხსნიათო.

ისიც ეხსომება მკითხველს, რა უნდოთ მოექცნენ ერობებს ომის დაწყებისას, როდესაც მათ განიზრახეს საერთო ორგანიზაციის შექმნა დაჭრილ-ავადმყოფთა საშველად. ამ საქმის დამწყობი და ინიციატორიც ზემოხსენებული შიპოვი იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ კეთილ აზრს პირველშივე ათასი დაბრკოლება აღმოუჩინეს. ამის გამო „რუსკ. ვედ." გადმოგვცემს: „ორგანიზაციის საქმის სრულად შეჩერება ვერ გაბედა გამბედავმა და ყოვლად ძლიერმა პლევემაც-კი, მაგრამ, სამაგიეროდ, მინისტრმა შესაფერი ზომები მიიღო, რომ შეეზღუდა და შეევიწროვებინა ეს კეთილი საქმე. სხვათა შორის, გუბერნატორებს ებრძანათ, სხვა ერობებისთვის ნება აღარ მიეცათ, ორგანიზაციას შეერთებოდნენ." ეხლა ნათლად გამოირკვა, რა დიდი სარგებლობა მოიტანა ბრძოლის ველზე ერობათა ორგანიზაციამ. ერობებს სხვა მხრივად ავიწროვებდნენ და უნდოდ ეკიდებოდნენ იმათ მიერ დაწყებულ საქმეს: თითქმის ყველა ერობამ აღძრა შუამდგომლობა საკუთარ ბეჭდვით ორგანოს გამოცემის შესახებ, მაგრამ სამინისტრომ ყველას უარი შეუთვალა. ასეთივე უარი მიიღეს საერთო გაზეთის გამართვის საქმეშიაც.

—

ერობა ზოგჯერ ბრძოლას მაინც ახერხებდა, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები-კი ამასაც მოკლებულნი იყვნენ. ყოვლად ძლიერი ბიუროკრატია, „რუს. ვედ."-ს სიტყვით, არაფრად აგდებდა არც ქალაქის თვით-მმართველობებს და არც კერძო საზოგადოებებს. როგორც „რუს. ვედ." გადმოგვცემს, დაკეტილ ან შეზღუდულ იქმნა ყველა ის სწავლა-განათლების გამავრცელებელი საზოგადოება, რომელმაც მრავლად მიიზიდა წევრები და მეტი მხნეობა და სიცოცხლე გამოიჩინა. ასე მოექცნენ, მაგალითად, პეტერბურგისა და მოსკოვის სწავლა-განათლების კომიტეტებს. ასევე დაიკეტა ინტელიგენტ პროფესიების წევრთა ურთ-ერთ დამხმარებელი საზოგადოება, მწერალთა კავშირი, მოსკოვის იურიდიული საზოგადოება. ყველას მიერ პატივცემულ „თავისუფალ საეკონომიო საზოგადოებას" აეკრძალა ხალხის დასწრებით კრებების გამართვა. შეზღუდეს აგრეთვე ტომსკის სახალხო განათლების საზოგადოება, სატეხნიკო სწავლა-ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება და მრავალი სხვა.

ყველაზე ძნელი ამ ბოლო დროს საყოველთაო კრების გამართვა შეიქმნა. არაფერი არ არის დასავლეთ ევროპაში გავრცელებული ისე, როგორც კრებები. იკრიბებიან ერთის პროფესიის წარმომადგენელნი, ამა თუ იმ საქმის მოღვაწენი, მსჯელობენ, არკვევენ გამოურკვეველ საგნებს, იკვლევენ ახალ საკითხებს. რუსეთში ყოველ ასეთ კრებისთვის დიდი წვალება და ვაი-ვაგლახია საჭირო. უმეტეს შემთხვევაში კრება ნებართვას ვერ ეღირსება ხოლმე. ამ ორი წლის წინად, როდესაც პრესის არსებობის ორასი წლისთავი შესრულდა, ნება არ დართეს გამართულიყო ბეჭდვითი საქმის სრულიად რუსეთის კრება. ვერ განხორციელდა დღემდე ვერც მაღალ და საშუალო სასწავლებელთა პედაგოგებისა და ვერც თურისტების კრებები. ორივე ეს კრება, რა თქმა უნდა, დიდ სარგებლობას მოიტანდა. ნებას არ აძლევენ ხშირად ერთის გუბერნიის სახალხო სკოლების მასწავლებელთ შეიკრიბონ და სახალხო სკოლის საჭიროებაზე მოილაპარაკონ. ამ ბოლო დროს ეჭვის თვალით შეხედეს პიროგოვის საზოგადოების კრებებს და კომისიაც-კი დანიშნეს ამ კრებების მოქმედების გამოსარკვევად. ამ ერთის წლის წინად ნაადრევად დაიხურა სატეხნიკო განათლების მოღვაწეთა კრება. როგორც „რუსკ. ვედ." გადმოგვცემს, მიზეზი ამისა სულ უმნიშვნელო რამ იყო. ასევე ემართებოდა ყველა სხვა საქმეს.

—

უნდობლობა ძალიან ნათლად და აშკარად დღემდე სწავლა-განათლების საქმეში გამოიხატებოდა. ამისთვის შემოიღეს ახალი დებულება. აუკრძალეს და გააძნელეს ხალხისთვის სხვა და სხვა კითხვების, კურსების, წარმოდგენების და, ასე გასინჯეთ, გასართობების გამართვაც კი. მოგეხსენებათ, სახალხო სამკითხველოების კატალოგი რა სიფრთხილით არის შედგენილი. აკრძალულია თითქმის ყველა წიგნი, თითო-ოროლას გარდა. სხვა და სხვა საზოგადოებანი, ერობანი და ქალაქის თვით მმართველობანი შუამდგომლობას შუამდგომლობაზე ჰგზავნიდნენ და თხოულობდნენ ნება მიეცეთ სახალხო წიგნთსაცავებს, იქონიონ ყველა ის წიგნი, რაც ცენზურის მიერ ნება დართულია. მაგრამ ამ შუამდგომლობებს განხორციელება არ ეღირსათ. ხშირად სამკითხველოები ათას ხერხსა და ხრიკს ხმარობენ, რომ ესა თუ ის აკრძალული წიგნები იქონიონ. აი, მაგალითად რას გადმოგვცემს „ბირჟ. ვედ."

ერთ სამკითხველოში შეველ,—სწერს ავტორი,—და კატალოგს დავუწყე თვალიერება. ვხედავ დაბეჭდილია: „პისკარევის თხზულებანი, ათი ტომი." ძალიან გამიკვირდა: რუსულ ლიტერატურას კარგად ვიცნობ, მაგრამ მწერალი პისკარევი პირველი გაგონება იყო. ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ ამ ავტორს ათი ტომი დაუწერია, მე-კი არა ვიცოდი-რა. მოვიკითხე ერთი ტომი. ამ ტომს ამოხეული ჰქონდა პირველი ფურცელი, ის ფურცელი, სადაც ჩვეულებრივ ავტორის გვარია ხოლმე მოხსენებული. გადავშალე რამდენიმე ფურცელი და მალე დავრწმუნდი, რომ ცნობილ კრიტიკოსის პისარევის თხზულება იყო. როგორც ვიცით, პისარევის თხზულებანი აკრძალულია სამკითხველოებისთვის. ხსენებულ სამკითხველოში ხშირად თხოულობდნენ თურმე პისარევის წიგნებს. გამგეს დიდ ხანს უმტვრევია თავი და ბოლოს ზემოხსენებული ხერხი მოუგონია: კატალოგში პისარევის ნაცვლად პისკარევი ჩაუწერია, ხოლო წიგნებისთვის ყველა პირველი ფურცლები ამოუხევია. რადგან სამინისტროს მიერ გამოცემულ აკრძალულ წიგნების სიაში პისკარევი არსად არ არის მოხსენებული, სამკითხველოსაც არავინ აწუხებდა.

ამ რიგად,—განაგრძობს წერილის ავტორი,—10-15 წელიწადი კითხულობდნენ ხსენებულ სამკითხველოში პისარევის თხზულებას, მაგრამ არავითარი უბედურება არ მომხდარა არც ამ ქალაქში, არც გუბერნიაში და არც მახლობელ სოფლებში.

წიგნებს გარდა სამკითხველოებში, როგორც ვიცით, აკრძალულია გაზეთებიც. შეიძლება სამკითხველოებმა იქონიონ მხოლოდ: „მოსკოვ. ვედ.", „გრაჟდანინ"-ი, „ნოვოე ვრემია", „სვეტი", და „ვარშ. დნევნ.". წინად არა ერთხელ აღუძრავთ შუამდგომლობა, რომ სხვა გაზეთებსაც ნება მიეცეთ, მაგრამ...

—

ზემოდ უკვე მოვიხსენიეთ, რომ დღემდე ყოველ ახალ საქმეს ათასი დაბრკოლება ეღობებოდა წინ. ძნელი იყო განსაკუთრებით ახალ საზოგადოებათა დაარსება. პუშკინის დღესასწაულის დროს განიზრახეს ხალხში სწავლა-განათლების გამავრცელებელ საზოგადოების დაარსება. ამ საქმის, ინიციატორები „რუს. ვედ." სიტყვით, დიდად პატივცემული და ამასთან წარჩინებული კაცები იყვნენ, მაგრამ საზოგადოება მაინც ვერ ეღირსა დაარსებას. ორი წლის წინად მოსკოვის უნივერსიტეტთან პროფესორებმა განიზრახეს სამეცნიერო საზოგადოების დაარსება. ერთი ქველ-მოქმედი ასი ათას მანეთსაც დაჰპირდა, მაგრამ საზოგადოებამ ნება-რთვა ვერ მიიღო და დღემდე მიწერ-მოწერაა წესდების შეცვლის შესახებ. ერთი წლის წინად მოსკოვში პროფესორებმა განიზრახეს ვარსკვლავთ-მრიცხველთა წრის შექმნა. აქ კი, გგონებ, საეჭვო არაფერი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ნებართვა მაინც ვერ მიიღეს...

უფრო უკეთეს მაგალითს გადმოგვცემს „კავკ. გაზ.". პუშკინის დღესასწაულების დროს, ე. ი. 1899 წელს, ეკატერინოსლავში განიზრახეს პუშკინის სახელობაზე „ლიტერატურისა, მეც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრობა მცირე კრედიტის კერძო დაწესებულებათ. მე-70 წლებიდან რუსეთში დაარსდა ევროპიულ ტიპის შემნახველ-გამსესხებელი კერძო ამხანაგობანი. პირველად მთავრობა ნდობით მოეკიდა იმათ და სახელმწიფო ბანკს ნება მისცა შეღავათიან პირობებით გაეცა სესხი ამ ამხანაგობებზე, მაგრამ მალე საქმე სრულებით შეიცვალა. მთავრობამ ეჭვის თვალით დაუწყო ცქერა ამხანაგობათ და მცირე თანხიანი სახალხო ბანკის დაარსების ნებართვაც მეტად ძნელი მოსაპოვებელი შეიქნა.

გაზეთს მოჰყავს ერთი საოცარი მაგალითი რუსეთში სახალხო კრედიტის სფერიდან. 1893 წელს მოისპო მოქმედება დამშეულ ხალხის დამხმარებელ განსაკუთრებულ კომიტეტისა და დაუხარჯავი დარჩა დიდი თანხა. ხელმწიფე იმპერატორი ნიკოლოზ მე-II იმ აზრს დაადგა, რომ ეს ფული საგლეხო კრედიტის მოწყობას მოხმარებოდა. ეს საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა. პრესსა და საზოგადოება ოლტაცებით მიეგება ამ ამბავს. ყველა დარწმუნებული იყო, რომ საგლეხო კრედიტს ახალი ბედნიერი ხანა დაუდგა. მაგრამ აქაც გაცრუვდა მოლოდინი და ოლტაცებას მალე მოეღო ბოლო.

დღესაც არ მოუყვანიათ სისრულეში ხელმწიფე იმპერატორის კეთილი განზრახვა. შინაგან საქმეთა სამინისტროში გადაცემული თანხა დღესაც უძრავად ძევს: ერთი გროშიც არ დახარჯულა გაჭირვებულ ხალხის დასახმარებლად. თანხა, დამშეულ ხალხის დასახმარებლად მრავალ შემომწირველთა წვლილებისაგან შემდგარი თანხა, დამშეულთ არ მოხმარდა; იმ გარემოებამაც არ უშველა საქმეს, რომ საგლეხო კრედიტის მოწყობა ხელმწიფე იმპერატორის სურვილი იყო; ვერაფერმა ვერ შესძრა რუსეთის ბიუროკრატია, ვერ მოაკიდებია საქმისათვის ხელი. საგლეხო კრედიტისათვის დანიშნული თანხით (ორ მილიონ მანეთზე მეტია) ათასი საგლეხო საკრედიტო დაწესებულების გახსნა და მრავალი ათასი გლეხის დახმარება შეიძლებოდა, ეს ფული კი 11 წლის განმავლობაში უსარგებლოდ ძევს შინაგან საქმეთა სამინისტროში.

თეატრი

ავლაბრის თეატრი. კიდევ ერთი ქართულ ენაზე სათამაშოდ ნება-დართული პიესა მიემატა დრამატიულ თხზულებათა რიცხვს. ეს არის სომხურიდან ბ-ნ ბაჭიაშვილის მიერ ნათარგმნი ისტორიული დრამა „ასლან-ბალასი“, რომელიც კვირას, 7 ნოემბერს, მეორედ წარმოადგინეს ავლაბრის სომეხ-ქართველ სცენის მოყვარეებმა არაქსიანის თეატრში. უხეირო თარგმანის მიუხედავად, ამ დრამას ხალხში ისეთი სახელი აქვს, რომ იმის წარმოდგენის დროს თეატრი გაჭედილია ხოლმე. ეს პიესა ამ 7—8 წლის წინად პიესად გადმოაკეთა ბ-ნ სარდარიან-არეგშატიანმა და იმ ხანებში ძლიერ ხშირად იდგმოდა კიდეც სომხურ სცენაზე. იმის შემდეგ თითქმის ოროსამი წელიწადია სომხის დრამატიულ დასსაც აღარ წარმოუდგენია. სჩანს, პიესამ თავისი დრო მოიჭამა და აღარავის სჭირდება დღეს. მხოლოდ ხსენებულმა მთარგმნელმა კი განაახლა, [illegible] ავსით, [illegible] ისტორი- [illegible] არ ეთანხმე [illegible] გილო ადგილას „თავისუფლებასა“ და „[illegible]თობაზე“ ლაპარაკებს ამ ასი წლის წინად უბრალო სოფლის შვილს (ასლან ბალასის) უზნაოდ გაგარდნის შემდეგ ენის მხრივაც ძლიერ დამახინჯებულის ქართულითაა ნათარგმნი.

მაყურებელნიც კი შენიშნავდნენ, რომ ამ ღამეს განგებ გამოუშვათ სცენაზე ქართულის არ მცოდნენი. მაგალითად: მირველოვის, ფარუმიანის, დუმჩიანის, დაშქარიანის და ჩალაბიანის ჩიქართულ ლაპარაკისგან მაყურებელნი ცოდვით იწოდნენ. ყველა იმათ „უცნაურ“ სიტყვებზე ხალხი მწუხარების მაგიერ სიცილს ვერ იკავებდა. ასლანის როლში „გასტროლერად“ ბ-ნი მატარაძე იყო მოწვეული, მაგრამ იმანაც არ იცოდა თუ რას თამაშობდა, ხოლო რასაც სუფლიორი ეუბნებოდა, იმას კი გმირულად იმეორებდა მხოლოდ პაუზების შემდეგ. ამ ღამეს მარტო ბ-ნ მეტრეველისა და სალაყაიასაგან გავიგეთ ქართული სიტყვები, თუმცა ისინიც კი წვალობდნენ. კარგს იზამდნენ ავლაბრის სცენის მოყვარენი, რომ თავიანთსავე შეთითხნილ პიესებს არ დასდგამდნენ ხოლმე სცენაზე. თუ კი ღონე შესწევთ, მრავალი პიესა მოიპოვება ქართულ ენაზე. აგრეთვე ვურჩევთ, ქართულის მცოდნენი ქართულს პიესაში გამოუშვან და სომხურისანი—სომხურში. წარმოდგენა გათავდა ორის ნახევარზე.

ავლაბრელი ნინია

—

ბათუმი. 3 ნოემბერს ბათუმს ეწვია ქუთაისიდან ვლ. მესხიშვილი თავის დრამატიულ დასით. პირველ საღამოს წარმოადგინეს „ცხოვრების გარეშე“, პროტოპოპოვისა, 4 ნოემბერს-კი ბარტის „ახალი მოძღვრება“. დავიწყებ ამ შენიშვნას იქიდან, რომ ქართულ სცენას ბედი ეწვია მით, რომ ვლ. მესხიშვილს, ავადმყოფობის შემდეგ, ისევ მოსვლია ხმა. ორი წარმოდგენა გამართეს ქუთათურებმა და ორივეზე ითამაშეს ახალი პიესები. „ცხოვრების გარეშე“ პროტოპოპოვისა დიდის ყურადღებით მოისმინა თეატრში მოსულმა საზოგადოებამ, ეს საზოგადოება შესდგებოდა სწორედ ქართველთა იმ ნაწილისაგან, რომელიც უფრო იხენს დღეს სიცოცხლეს და მოძრაობას და რომელსაც თეატრი მართლა სკოლად აქვს მიჩნეული და არა უბრალო გასართობად. საინტერესო სანახავი იყო არა მხოლოდ არტისტთა თამაში, არამედ ისიც, თუ როგორი კავშირი სუფევდა სცენასა და დარბაზს შუა. ამგვარ მაყურებელთა წინ თამაში არტისტისათვის ნიჭის გამაღვიძებელი გარემოება უნდა იყოს უსათუოდ; ამგვარ მსმენელთა წინაშე თამაში არტისტისათვის ნამდვილ სიამოვნებას უნდა შეადგენდეს.

საჭირო არ არის თითოეულად ჩამოთვლა არტისტების თამაშობისა. თვით ვლ. ალ. მესხიშვილზე რაღა ითქმის იმის მეტი, რომ იგი თავის პატარა როლშიაც (მამა ტოპორკოვი) მშვენიერი იყო; მშვენიერი იყო ახალგაზდა მსახიობი ქალი დავითაშვილი პოლის როლში, განსაკუთრებით უკანასკნელ მოქმედებაში. საოცარი დაწინაურება ემჩნევა ახალგაზდა არტისტ-ქალს და თუ მან ასეთის წარმატებით იარა, ქართულ სცენას შეეძინება მალე ხანში ნამდვილი დრამატიული მსახიობი ქალი. ძლიერ კარგი იყო ბ-ნი გამრეკელიძე მზარეულ ოსიპის როლში და აწყურელი—ლაქია იაკოვისაში. დანარჩენები ანსამბლს ხელს [illegible], ამგვარ ანსამბლს, რომელიც დღემდის შესამჩნევად აკლდა ქართულ წარმოდგენას. ამ საუცხოვო ანსამბლის მეოხებით მთელი პიესა დიდის ყურადღებით იქმნა მოსმენილი და საზოგადოებაც კმაყოფილი დარჩა.

მაგრამ უფრო გულის გამახარებელი და აღტაცებაში მომყვანი იყო მეორე წარმოდგენა. ქუთათურებმა ბ-ნ კოტე მესხის მონაწილეობით ბარტის „ახალი მოძღვრება“ სწორედ მხატვრულად ითამაშეს. დიახ, ამგვარ წარმოდგენების შემდეგ გჯერა, გწამს, რომ ქართული სცენა წინმსვლელობაშია, რომ იგი წარმატების გზას ადგია. „ახალი მოძღვრება“, ქუთაისის დასის მიერ წარმოდგენილი, გიტაცებს, გხიბლავს და გაოცებს აქტიორებს და სცენას. ამიტომაც დიდის აღტაცებით და „ვაშას“ ძახილით ეგებებოდა საზოგადოება არტისტებს. კერძოდ დიდ მადლობას უძღვნიდა საზოგადოება ვლ. მესხიშვილს ამგვარ წარმოდგენებისათვის. ვიმეორებ, ქუთათურმა დასმა „ახალი მოძღვრება“ განსაკუთრებულად წარმოადგინა. კარგი იყო წარმოდგენა ყოველის მხრივ: თამაშით, ანსამბლით, მორთულობით. მეტის ანსამბლისათვის საჭიროა მხოლოდ, ტიგელიანის მოთამაშემ არ დაივიწყოს, რომ იგი მეტოქეა მარკოსისა და პოპეამაც უფრო შესაფერი კილოთი ილაპარაკოს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ქართულმა თეატრმა ბათუმში მოიპოვა მაყურებელი, ნამდვილი მაყურებელი.

ნიერების და ხელოვნების მოყვარულთა საზოგადოების“ დაარსება. ამ დროს ეკატერინოსლავის გუბერნატორად იყო შინაგან საქმეთა დღევანდელი მინისტრი თავ. სვიატოპოლკ-მირსკი. სხვათა შორის დამაარსებელთა სიაში მოქცეულნი იყვნენ თვით თავ. სვიატოპოლკ-მირსკი, საგუბერნიო საერობო გამგეობის თავმჯდომარე კარპოვი და სხვა საპატიო პირნი. საზოგადოებას, სხვათა შორის, აზრადა ჰქონდა სახალხო სახლის გამართვა, კითხვების, ლექციების და კურსების მოწყობა. დამაარსებელთ მცირე თანხაც კი შეკრიბეს. ამასთან ორმოცდაათი თუმანი თავ. სვიატოპოლკ-მირსკიმ შეიტანა. შუამდგომლობის აღძვრის შემდეგ გაიარა 5½ წელიწადმა. თავ. სვიატოპოლკ-მირსკი სხვაგან გადაიყვანეს. იმის შემდეგ ეკატერინოსლავში გუბერნატორებად იყვნენ გრაფი კელლერი (ამას წინად ომში მოკლული), ნეიტჰარდტი, და მხოლოდ ეხლახან ერთმა დამაარსებელმა, კარპოვმა, წერილი მიიღო სამინისტროდან. 5½ წლის შემდეგ კარპოვს შეატყობინეს: კიდევა გსურთ თუ არა პუშკინის სახელობაზე საზოგადოების დაარსებაო. აღმოჩნდა, რომ წესდება, რომელზედაც, როგორც დამაარსებელს, ხელი ეწერა გუბერნატორს, რომელმაც მერე გენერალ-გუბერნატორობა და ბოლოს მინისტრობა მიიღო, ვერ ედირსა დამტკიცებას „სხვა-და-სხვა მიზეზისა გამო.“

—

შენ თვითონ იფიქრე, მკითხველო, რა უნდა დაემართოს იმ შუამდგომლობას, რომელზედაც ხელი არ უწერია გუბერნატორს ან სხვა წარჩინებულ პირს. ამ შემთხვევაში ხშირად დამტკიცებას-კი არა, უბრალო პასუხსაც ვერ ეღირსებიან ხოლმე. აი, მაგალითად, ქალაქ კურსკში არსებობს პირველ-დაწყებითი სწავლა-განათლების გამავრცელებელი საზოგადოება. 1898 წელს საზოგადოებამ განიზრახა კურსკში წიგნის საწყობის გამართვა. თხოვნა ამის შესახებ საზოგადოებამ გუბერნატორს მიართვა ამავე წლის ოქტომბერში. პასუხის მგებლად საზოგადოებამ ისეთი კაცი დანიშნა, რომელსაც კურსკში წიგნის მაღაზია ჰქონდა. 1899 წელს თებერვალში საზოგადოებამ ახალი თხოვნა შეიტანა საწყობისავე გამართვის შესახებ სამაზრო ქალაქს ბელგოროდში. პასუხის მგებლად დასახელებული იყო ადგილობრივ საოსტატო ინსტიტუტის მასწავლებელი. გავიდა ამის შემდეგ სრული ექვსი წელიწადი და საზოგადოებას დღეს არც საწყობი აქვს და არც პასუხი მიუღია.

ამავე ხანებში ადგილობრივმა საგუბერნიო ერობამ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე. ერობა თხოულობდა, წიგნის გაჭრობის ნება მისცემოდა. მაგრამ უარი მიუვიდა. 1899 წელს ერობამ გუბერნატორის გადაწყვეტილება სენატში გაასაჩივრა. გავიდა მას შემდეგ ხუთი წელიწადი და საგუბერნიო ერობას თავის საჩივრის პასუხი სენატიდან დღესაც არ მოსვლია. ამ რიგად შვიდის წლის განმავლობაში ვერც საგუბერნიო ერობა და ვერც სწავლა-განათლების გამავრცელებელი საზოგადოება ვერ ეღირსა წიგნის გაჭრობის მოწყობას, ესე იგი, იმას, რის უფლებაც, საცენზურო წესდების ძალით, ყველა კერძო გაჭარსა აქვს.

—

აი, ასეთი იყო უნდობლობა ახალ მინისტრის დანიშვნამდე. რა იქნება შემდეგში, მახლობელი მომავალი გვიჩვენებს. ეს-კია წინ მსვლელობისა და წარმატებისათვის უსათუოდ საჭიროა მეტი თავისუფლება და მეტი ნდობა, რასაც ერთხმად აღნიშნავენ რუსის საზოგადოების მოწინავე ელემენტები. 30 ოქტომბერს ქალაქ კალუგაში მოხდა კრება პირველ-დაწყებით სწავლა-განათლების გამავრცელებელ საზოგადოებისა. კრებამ, მინისტრის მიერ გამოთქმულ „ნდობით“ აღფრთოვანებულმა, დაადგინა: აღძრას შუამდგომლობა მწერლობის, სიტყვის, კრების და პიროვნების თავისუფლების შესახებ; ითხოვოს, რომ ადმინისტრატიული სასჯელი სრულიად მოისპოს და იყოს მხოლოდ სასამართლოს წინაშე პასუხისმგებლობა.

კრებამ აღნიშნა, რომ მხოლოდ ასეთ თავისუფლების მინიჭება იქნება ნდობის გამოცხადება და მხოლოდ ამის შემდეგ არის მოსალოდნელი კულტურული მუშაობა.

პატარა ფელეტონი

ცხოვრების სურათები

არ ვიცი, დამეთანხმება თუ არა მკითხველი, ჩემის აზრით კი მესამე კლასით მგზავრობა ჭკუის მასწავლებელია... ვიღაცამ სთქვა, სხვა-და-სხვა კლასებს შორის შემდეგი განსხვავებააო: მესამე კლასში კონდუქტორები ექცევიან ბრიყვულად მგზავრებს, მეორე კლასში—მგზავრები კონდუქტორებს, პირველ კლასში-კი მგზავრები—ერთმანეთსაო. ჩემის აზრით-კი, მეორე კლასის მგზავრებიც საკმაოდ ბრიყვულად ექცევიან ერთმანეთს. ისე ვერ შეხვდებით მეორე კლასში, რომ ერთ ჩხუბს და გაი-უშველებელს არ წააწყდეთ. მესამე კლასში-კი ეს ჩხუბი ადგილისათვის—ძვირი მოვლენაა. მიზეზი ის გახლავთ, რომ უმაღლესი კლასის მგზავრს დაბადებიდან მოსდგამს შეუდრეკელი მისწრაფება ხალვათად დაბინავებისადმი, საზოგადოდ დედა-მიწის ზურგზე და კერძოდ უმაღლეს კლასის ვაგონში მცირე ადგილით არ კმაყოფილდება, აქაც ხალვათად უნდა დაბინავდეს, გრძელ ასპარეზს უნდა დაეპატრონოს და სრულებით აავიწყდება, რომ უმაღლესი კლასის სხვა მგზავრებსაც მოსდგამთ გრძელი ბატონობის მადა, ფართო ადგილისადმი ლტოლვილება. ამიტომ ამ ორ მძლავრ მადიან ბატონთა შეტაკება აუცილებელია უთუოდ. მესამე კლასის მგზავრი-კი სიყრმიდანვე დედა-მიწაზე მცირე ადგილს არის შეჩვეული და ვაგონშიაც მცირე ადგილით კმაყოფილდება: არა თუ ორი მგზავრის ადგილზე ერთი არ ჯდება, არამედ სამი და გაჭირვების დროს სამზე მეტიც. ამიტომ არის, რომ ვისაც სხეულის ხალვათობა სურს, უმაღლესი კლასი უნდა აირჩიოს, სულის ხალვათობას-კი უფრო მესამე კლასში მოიპოვებს. მაგრამ ის არის, რომ ცხოვრების ბაზარში დღეს სხეულს სულზე მეტი ფასი აქვს და ამიტომ, რასაკვირველია, ყველა ანებივრებს, ყველა ასათუთებს თავის სხეულს. პირველ კლასის ძალ-ღონე თუ არ შესწევს, მეორე კლასისაკენ მაინც მიისწრაფვის მთელი თავისი ძალ-ღონით. სწორედ სასაცილო და თან საშიში სანახავია ხოლმე უმაღლეს კლასში სამი კაცის ადგილზე მარტოდ დაბინავებული ვაჟბატონი. მიუახლოვდებით და ხვეწნა-მუდარით თვალებში ტკბილად ჩააცქერდებით, რათა გული აუჩუყოთ და თქვენთვის ერთი პაწია ადგილი დაათმობინოთ. სწორედ თავ-ზარი დაგეცემათ, როცა შეამჩნევთ, რომ თვალების მაგიერ ამ ვაჟბატონს უდიდესი ყალიბის ზარბაზნები უზის, რომელთა „დრუნჩი“ მრისხანედ თქვენკენაა მიმართული. თვალის დახამხამებაზე უმალ თუ არ უკუიქცევით, „ბედკრულად“ იქცევით. მართლაც, რა უნდა გააწყოთ ამ ვაჟბატონთან, რომელიც ამტკიცებს, სამნი გვიზივართ ამ ადგილზე, სამივე ადგილი დაკავებულია და ამავე დროს მრისხანედ აპობს ჭერს შეკუმშულ მუშტებით. მართლაც მალე რწმუნდებით, რომ თქვენ თვალ-წინ სამი მტერია: თვითონ მრისხანე მგზავრი და იმისი არა ნაკლებ მრისხანე ორი მუშტი. ესეც რომ არ იყოს, თვალი რომ გადაავლოთ ამ ერთ კაცისა და იმის ორი მუშტისაგან დაჭერილ ადგილს, უეჭველად დარწმუნდებით, რომ თქვენთვის მართლაც აქ ადგილი არ არის, რადგან ყველა თავისუფალ ადგილზე განზრახ დაულაგებია თქვენს მეტოქეს თავისი ვეება ბარგი-ბარახანა. ამ თანამედროვე ქრისტიანეს არა თუ არ უყვარს მოყვასი, როგორც თავი თავისი, არამედ ბარგი-ბარახანა თავისი უყვარს ბევრად უმეტეს მოყვასისა თვისისა. ბარგს გვერდით დაისვამს და გულში ჩაიხუტებს, მოყვასს კი წიხლის კვრით უკუ-აქცევს და ფეხზე გააჩერებს ხოლმე. მართლაც, რას უნდა გამოართვას თანამედროვე ქრისტიანე მოყვასისა თვისისა? მარტო თვალებით თუ შესჭამს, ამასაც ეშმაკურად შვრება, თავის ბარგი-ბარახანაში კი ისეთი ნოყიერი რაგინდა-რაობა აქვს, რომლის ნამდვილად და გემრიელად შეჭმა შეუძლია.

დიახ, მეტად მძიმეა უმაღლეს კლასებში ადგილის მძებნელის მდგომარეობა: ბევრი იერიში უნდა მიიტანოს, ბევრჯელ უნდა უკუ-ქცეულ იქმნას, სანამ გულ-მტკივნეულ ადამიანს მიაგნებდეს, რომელიც მას ადგილს დაუთმობს.

ი. ნ—შიძე.

სასამართლო

თავდასხმა

გუშინ, 8 ნოემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლომ გაარჩია საქმე ბეგლარ ზაქრაძისა, ერემია ჯინჭველაშვილისა, სერგო ნიკურაძისა და დავით კობალაძისა, რომელთაც ყაჩაღობა ჰბრალდებოდათ. როგორც საბრალმდებლო იქმიდანა ჩანს, მიმდინარე წლის 21 იანვარს, ღამის 12 საათზე, თბილისის პროსპექტზე ბელგიის უსახელო საზოგადოების კანტორაში შეცვივდა ოთხი შეიარაღებული კაცი. კასირი თავის განყოფილებაში გავარდნილა, მიუხურავს კარები, შემდეგ ფანჯარა გაუღია და დაუწყია ყვირილი, არიქა, გვიშველეთ, ყაჩაღები თავს დაგვეცნენო. კანტორაში მყოფი მოსამსახურე დანელია ფანჯრიდან გადამხტარა შესავალ კარების დასაკეტად, მაგრამ კარებში დახვედრია მეხუთე ბოროტ-განმზრახველი და ხანჯლით შეუტევია. მალე ქუჩაში ხალხი შეკრებილა, მისულან მეეზოვენიც, მაგრამ ბოროტ-მოქმედთ გაუტაცნიათ 43 მან., გაქცეულან მუშტაიდის ბაღში და გაუწევიათ რკინის გზის სადგურისაკენ. გამოძიების დროს დანელიას უთქვამს, გვარი არ მახსოვს, მაგრამ ერთ ბოროტ-მოქმედს-კი კარგად ვიცნობო. ნიშნებით პოლიციას შეუტყვია დანელიას ნაცნობ ყმაწვილის გვარი, რომელიც გორის მაზრის მცხოვრები ბეგლარ ზაქრაძე გამოდგარა. ზაქრაძე დაუჭერიათ თავ. ფალავანდიშვილის მამულში და როცა ჩამოუყვანიათ ტფილისში, იგი გამოსტეხია ბოქაულს ზედგინიძეს და დაუსახელებია მონაწილეებად დავით კობალაძე, ერემია ჯინჭველაშვილი, სერგო ნიკურაძე და ერმალოზ ბურჭულაძე. ყველანი პოლიციას დაუპატიმრებია, გარდა ბურჭულაძისა, რომელიც დღესაც გადამალულია. ყველანი გამოტეხილან გამომძიებელთან. ოლქის სასამართლოშიაც გამოტყდნენ. ამათგან ზაქრაძემ განაცხადა: 21 იანვარს სასტუმრო „სევასტოპოლ“-ში მოვიდნენ ჩემთან ბურჭულაძე, ჯინჭველაშვილი, კობალაძე და ნიკურაძე და წინადადება მომცეს, მონაწილეობა მიმეღო უსახელო საზოგადოების კანტორის გაძარცვაში· მეც დავთანხმდი. აქ ჩაუჯექით ვახშამს და ძალზე არაყით დავითვერითო. შემდეგ ბრალდებულმა დაწვრილებით აჩვენა სასამართლოს თუ როგორ დაეცნენ კანტორას და როგორ მოახერხეს იქიდან ფულის წაღება. ფულად, სთქვა ბრალდებულმა, 43 მან. გავიტაცეთ, ავედით ნაძალადევში ჩვენ ამხანაგის ჯინჭველაშვილის სახლში და იქ გავიყავით ფული. თითოს სამ-სამი მანეთი გვერგო. ასევე გამოტყდნენ დანარჩენი ბრალდებულნიც. სასამართლომ ბრალდებულთა გამოტეხის გამო გამოჰკითხა მხოლოდ ოთხ-ხუთ მოწმეს საქმის ვითარება. სასამართლოს განკარგულებით დანიშნულმა ვექილმა კ. ი. ჯაფარიძემ სასამართლოს სთხოვა, შეემსუბუქებინა ბრალდებულთათვის სასჯელი, რადგან ისინი გულწრფელად გამოტყდნენ და აღიარეს თავიანთი დანაშაული. ოლქის სასამართლომ ბრალდებულთ მიუსაჯა ყოველისავე უფლებას ჩამორთმევა და კატორღაში გაგზავნა: ნიკურაძესა და ჯინჭველაშვილს ათ-ათის წლით, კობალაძეს 8, ხოლო ბეგლარ ზაქრაძეს 5 წლითა და 4 თვით.

რუსეთის ქრონიკა

◆ რუსეთის გაზეთები გვატყობინებენ, რომ ციმბირის რკინის გზის მეორე ლიანდაგის გასაყვანად გაგზავნილია 300 ინჟენერი.

◆ ხმებია, საერო განათლების სამინისტროს განზრახვა აქვს მოსპოს ის წესი, რომლის ძალით უმაღლეს სასწავლებლებში კურს დამთავრებულთ „ჩინების“ მიცემის დროს შეღავათი ეძლეოდათ.

◆ გადაწყვეტილია, გლეხთა გადასახლების საქმის ძირითადი რეფორმა მოახდინონ. შინაგან საქმეთა სამინისტროს მოწოდებით ერობამ უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ საქმეში.

◆ ცენტრალურ სტატისტიკურ კომიტეტის გამოანგარიშებით, რუსეთში წელს შეუგროვებიათ სულ 19 ათას მილიონამდე ფუთი პური, თითო დესეტინაზე შუარიცხვით 60 ფუთი.

◆ „ნოვ. ვრ.“-ს სიტყვით, სენატმა განიხილა ირკუტსკის გენერალ-გუბერნატორის გრაფის კუტაისოვის საჩივარი „პროგონი“-ს ფულის შესახებ. გრაფი შინაგან საქმეთა სამინისტროს უჩიოდა, სისწორით არ მომცა „პროგონ“-ის ფული ინფანტერიის გენერალი ვარ და გენერალ-გუბერნატორისათვის დანიშნული პროგონი მომცეს; ამ ნაირად რამდენიმე ათასი მანეთი დამაკლესო. სენატმა უყურადღებოდ დასტოვა გრაფის საჩივარი.

◆ „ფინლ. გაზ.“-ში დაბეჭდილია, რომ ფინლიანდიის სახაზინო რკინის გზების მთავარ გამგეობის რეგისტრატორი ბარანოვი, რომელმაც ჰელსინგფორსის უნივერსიტეტში დაასრულა კურსი და ფინლანდიის სტუდენტთა ერთი წრის ამხანაგად ითვლებოდა, ამ ამხანაგობამ გამორიცხა. მიზეზი ის იყო, რომ ბარანოვმა თავის განყოფილებაში რუსული ენა შემოიღო. სტუდენტთა წრემ გამოაცხადა, ჩვენ შორის ვერ დავტოვებთ ისეთ წევრს, რომელიც მონურად ქედს იხრის უფროსთა წინაშე და ამ ნაირად ჩვენ ამხანაგობას ჩირქსა სცხებსო.

◆ ნოემბრის შუა რიცხვებში მიდიან კიევს პეტერბურგის რამდენიმე ცნობილი ვექილი, ივნისში კიევში მომხდარ უწესოებების მონაწილეთა დასაცველად. ამ საქმის გამო სამართალშია მიცემული 27 კაცი, უმთავრესად რკინის გზის მუშები. საქმის განხილვა რამდენსამე დღეს გასტანს. სასამართლოს სხდომებზე ხალხს არ შეუშვებენ.

◆ „რუს“-ი გადმოგვცემს, ნამდვილ წყაროებიდან ამბავს, რომ სამხედრო სამინისტროს გადაუწყვეტია ჩამოართვას ინტენდანტო უწყებას საქმე, რომელიც დღემდის იმის ხელთ იყო: არმიისთვის ხორცის ყიდვა და ზრუნვა. ეს საქმე ეხლა მიწათ-მოქმედების სამინისტროს დაევალა. ამ სამინისტროს აგენტები შორეულ-აღმოსავლეთში მიდიან ჯარისთვის საქონლის საყიდლად.

◆ ბ. პეტროვიჩს განუზრახავს მოსკოვში ყოველ დღიურ გაზეთის „დენ“-ის გამოცემა. ამ გაზეთს მიეკედლება „მოსკვ. ვედ.“-ის ყველა თანამშრომელიო. თვით „მოსკ. ვედ.“-ის-კი, იანვრიდან პროფესორთა ჯგუფი გამოსცემს პროფესორ ის ოზეროვის მეთაურობით.

◆ ტომსკის სამოსამართლო დაწესებულებანი შუამდგომლობენ მთავრობის წინაშე, რათა ციმბირში შემოღებულ იქნას ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

◆ ფინლიანდიის დედა-ქალაქს ჰელსინგფორსიდან დეპეშით აუწყებენ „რუსკ. სლ.“-ს, რომ ფინლიანდიაში ბრუნდება ამერიკიდან მრავალი მუშა, რომელთაც იქ სამუშაო ვერ უშოვიათ.

◆ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებას გამოუცია სია იმ სტუდენტებისა, რომელთაც 1874—1901 წლამდე კურსი დაუსრულებიათ და საზოგადოებისთვის თავისი ვალი არ დაუბრუნებიათ.

◆ ვარშავის ოფიციალურ გაზეთში დაბეჭდილია შემდეგი ამბავი: „19 ოქტომბერს ბრუდნოვის სასაფლაოზე (ვარშავაში) ხალხმა მრავლად მოიყარა თავი. საღამოზე ერთმა დამსწრეთაგანმა წითელი დროშა აიმართა და ხალხი სიმღერით წამოვიდა სასაფლაოდან. ხალხს გზაზე ერთი პოლიციელი გადაეღობა. პოლიციელს 7-ჯერ ესროლეს რევოლვერი და ყურში დასჭრეს. პოლიციელმაც სროლა დაიწყო და ზურგში დასჭრა ის კაცი, რომელსაც დროშა მიჰქონდა. ხალხი დაიშალა. როცა ჯარი მოვიდა, აღარავინ დახვდა.

მეორე მანიფესტაცია ვარშავაში 23 ოქტომბერს მოხდა, საღამოს 6 საათზე, ნალევკაში. თავ-მოყრილმა ხალხმა 800-მდე პროკლამაცია გაფანტა. პოლიციასთან შეტაკების დროს დაიჭრა ორი პოლიციელი. გამოწვეული იქმნა პოლიციელთა ძლიერი რაზმი და ხალხი დაიშალა.

წერილები

კახეთი. ყოველს დასაწყისს უთუოდ დასასრულიცა აქვს. აქეთ იმდენი ქურდობა და ავ-კაცობა ჰხდება ყოველს დღესა და ღამეს, სულ ახალ-ახალის „სისტემით“ გამოგონილი, რომ კაცი ვერ მოსთვლის. ეს ვაჟ-ბატონები იმაზედ ფიქრობდნენ, რა მოვიგონოთ ისეთი, რომ ხალხი გავაკვირვოთ და ავალაპარაკოთ ჩვენის ავ-კაცობითაო. ხალხი კი ფიქრობდა, რა გამოვიგონოთ ამათს ასალაგმავადაო. ყველა სოფელში ბლომად მოიპოვებიან გულ-ჩათუთქულნი დანაკარგით. ყველგან მიუმართნიათ, სადაც რიგია, მაგრამ გამობრუნებულან პირში ჩალა გამოვლებულნი! ეხლა ჩვენმა გლეხ-კაცმა გაიჩმუჩნა და იფიქრა: თუ სხვა არა მპატრონობს, მოდი და მე ჩემ თავს ვუპატრონებო. ზოგიერთს სოფლებში ამოირჩიეს 12 კაცი, დაადგინეს განაჩენი და მიანდეს შემდეგი: ამათ უნდა სდევნონ ავ-კაცებს და წარადგინონ ხოლმე სოფლის ყრილობის წინაშე. ეს ასეც მოხდა. სოფლის მცხოვრებთ გადასწყვიტეს: რაც უნდა ძვირად დაუჯდეთ, თვითონ შინაურულად მოაწყონ თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესება. ზოგს სოფლებში მოიყარეს თავი დიდმა და პატარამ, დაიარნენ კარდა-კარ და გამოჰყავდათ ქურდები სასოფლოზედ დასასჯელად. გამოჰყავდად ხელებ-შეკრულნი, აბამდნენ ბოძებზედ და სცემდნენ ჯოხებით და კეტებით. ზოგი ფეხებით დაჰკიდეს თავდაყირა და ათქმევინეს თავისი დანაშაული. ერთის მხრივ საზარელი სანახავი იყო: ზოგის ცოლს ულონდებოდა გული, ზოგის დედას, ძმას და დას. გეგონებოდათ, ლეკი შემოსევია სოფლებსაო, ისე დარბოდნენ ჯოხებ-გაწვდილნი კარდა-კარ ქურდების საძებნელად. გამოიყვანეს სასოფლოზედ ნარბევი: ძროხები, ღორები, თხები და ღვინო. დახოცეს და სასოფლოდ ყველას გაუნაწილეს. რაც ღვინო გამოიტანეს, ვისაც რამდენი უნდოდა, იმდენი სვეს. მთელი ოთხი დღე გაგრძელდა ეს რბევა.

3 ნოემბერს მოვიდა მაზრის უფროსი ხალხის დასამშვიდებლად. დაჰპირდათ, ამის შემდეგ ვეცდები ეგ ვაჟ-ბატონები ავლაგმოთ, ოღონდ ეხლა დამშვიდდითო... და სხვა-და-სხვა. ეხლა აპირობენ გადაახდევინონ ამ ვაჟ-ბატონებს ფულად და დაზარალებულნი დააკმაყოფილონ ცოტათი მაინც.

29 ოქტომბერს მოჰკლეს სოფ. ურიათუბნის მცხოვრები და ყველასაგან ცნობილი ქურდი, გვარად მოვლილი-შვილი. საქმე ასე ყოფილა: ცხენის დამკარგავი მისულა იმის ბინაზედ და უთხოვნია ცხენი. დაუწყიათ ვაჭრობა. ამას ორი თუმანი უთხოვია, დამკარგავს 15 მანეთი უძლევია. ამასობაში შელაპარაკებულან. ამ ქურდს გაულანძღავს და უთქვამს: შენ არ იცი, მე ვინა ვარ, როგორ გაბედე, რაც გითხარ, ის არ მომეცი და სიტყვა შემომიბრუნეო. ამასაც გული მოსვლია და სამჯერ ზედიზედ თოფი დაუხლია. მერე მისდგომია გაბრაზებული და ხანჯლით აუჩეხია. ეს ქურდი წამოსადეგი ვაჟ-კაცი იყო და თავის ახოვნებას ამისთანა ავ-კაცობაში იყენებდა და თანაც ხელმძღვანელობდა ყველა ქურდებს. ის იყო თავი და ის იქნება ბოლოც. ხალხი ძალიან გაახარა ამ ამბავმა, რა ჯურის ხალხი არა ჰყავდა ამას დამეგობრებული. ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა. ყველა იმას იძახის: რაკი ლობეს ცერი გამოსძვრა, ეხლა ადვილად დაიქცევაო. ამასთან სამი სხვა ამხანაგიც ყოფილა, რომელნიც გაქცეულან. ცეცხლი ნთებიათ და შეშის მაგიერ მთელი გუთანი თავისი თვლებით ყოფილა შეკეთებული. ეს ერთი კვირაა,

რაც ძლარა დაუწვიათ-რა და არა მოუპარიათ-რა. ჯერ მშვიდობიანობა სუფევს, ამას იქით დავინახავთ...

X

ხოტევი (რაჭა). დადგა შემოდგომა, აციედა და კოკის პირული წვიმები დაუშინა. მუშა ხალხი მიეშურება იმერეთში თითო-ოროლა გროშის მოსაგებად, რათა ნაშოვარ ფულით დააკმაყოფილოს ოჯახის მოთხოვნილებანი. ქორწილის სეზონი უკვე დაიწყო და ვისაც თითო-ოროლა კასრი (კასრი ორი ჩაფია) ღვინო მოუვიდა, აღარ ზოგავს და ეწევა ლხინსა და ქეიფს. გზების გაკეთებასა და შეკეთებაზედ ჩვენსკენ სრულიად არავინ ფიქრობს. ფეხის გადადგმა არ შეუძლიან კაცს. ზოგან ისეთი ტალახია, რომ ფეხის ამოღება გაგიჭირდება და ზოგან კი ქვებით გემტვრევა ფეხები. ასეთ გაჭირვებულ მდგომარეობაშია არა მარტო ხოტევი, მთელი ნიკორწმინდის საზოგადოება, რომელიც შესდგება თვრთმეტ სოფლისაგან.

ხოტეველი ქალი.

საჭირო დამატება

(წერილი რედაქციის მიმართ)

ჩემ წერილს თავ. აკაკის თანხის შედგენის შესახებ უნდა დავუმატოთ შემდეგი:

ქართული საზოგადოების გავლენიანმა წარმომადგენლებმა განაცხადეს ის აზრი, რომ უკეთესი იქნება უეჭველად შეწირულება ხსენებულის თანხის შესადგენად იგზავნებოდეს „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობის სახელზე, რომლის ხელშია ყველა სხვა თანხებიცაო. რადგანაც ეს აზრი შეიწყნარა თავ. აკაკიმაც, ამის გამო ყველამ თავისი შეწირულებით უნდა მიმართოს „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამგეობას. კერძო კომიტეტი, ჩვენ მიერ დასახელებული და მიწვეული აკაკის მიერ, დარჩება და იმოქმედებს, როგორც დამხმარებელი ორგანო გამგეობისა. სრული იმედია, რომ სხვა ქალაქებსა და დაბებშიც შესდგება ამისთანა დამხმარებელი კომიტეტები და ყოველ ღონისძიებას იხმარებენ, რომ მომავალი თანხის რაოდენობა ეღირსებოდეს დანიშნულების სიდიდეს.

იაკობ გოგებაშვილი.

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

8 ნოემბერი

მუკდენი, 7 ნოემბერი (საკ. კორ.). გუშინ სიწყნარე იყო. იაპონელებს წინსვლა არ უცდიათ. 6 ნოემბერს ღამე წარბაზნების სროლა არ ყოფილა. ცივი დარია. წინანდელზე უფრო ძლიერად აცივდა. მთავარ-სარდალი ათვალიერებს ახალ მოსულ პოლკებს.—იაპონელებმა ვერ მოახერხეს პუტილოვის გორის აღება, შეიბანხისკენ წაიწიეს და იქ მაგრდებიან. ხმებით, იაპონელები ვიწრო ფრონტით გამწკრივდნენ; მათი მარცხენა ფრთა ლიაოხემდის მიდის, მარჯვენა ფრთა-კი ბენსიხუსთან დგას.—იაპონელთა უფროსები სცდილობენ თბილი ტანისამოსი მიაწოდონ ჯარს. თვითეულ სალდათს მისცეს ქურქი, თბილი ქუდი და ორი წყვილი ჩექმა. იაპონიიდან მრავალ გადასატან ფეჩებს ჰგზავნიან. მარხილებს ამზადებენ ზამთრისათვის.

ხუანზანი, 7 ნოემბერი (საკუთ. კორ.). გენერალმა ლინევიჩმა დაათვალიერა ციმბირის ოთხი კორპუსი. ჯარი მძლავრი „ურა“-ს ძახილით მიეგება თავის სარდალს.—ფიქრობენ რომ, იაპონელები წინ არ წავლენ, სანამ ძლიერი ყინვა არ დაიწყება, რადგან მაშინ შესაძლებელი გახდება მდინარეებზე ზარბაზნებისა და ქარავნის გადატანა.

რიაზანი, 7 ნოემბერი. წითელი ჯვრის უავგუსტოესმა მფარველმა უმაღლესი მადლობა გამოუცხადა გლებს სალტიკოვს, რომელმაც თავის ხარჯით გამართა ხუთი ლოგინი წითელ ჯვრის საავადმყოფოში და ათასი მანეთი შესწირა.

მუკდენი, 6 ნოემბერი, („რეიტერი“). იაპონელები, რომელნიც წინ წაიწიენ რკინის გზის გაყოლებით, უკუაქციეს. მძიმე არტილერია შუადღემდის ისროდა ზარბაზნებს.

მუკდენი, 7 ნოემბერი („რეიტერი“). ორივე არმიის პოზიციები მეტად ძლიერია. ის არმია, რომელიც წინ წავა, დიდად დაზარალდება. იაპონიის ბატარეები, რომელნიც ზარბაზნებს უშენდნენ პუტილოვის გორას, ისე დახელოვნდნენ, რომ სეტყვასავით აყრიან ამ გორას ყუმბარებს.

ლონდონი, „რეიტერის“ კორესპონდენტი იუწყება, რომ 2 ნოემბერს იაპონელები ისევ დამარცხდნენ პორტ-არტურთან.

ლონდონი, 8 ნოემბერი („რეიტერი“). გაზეთებმა გამოაქვეყნეს დეპეშა ნიუ-იორკიდან იმის შესახებ, რომ ერთმა ინგლისელმა რომ ოქტომბერში რუსებს მიუყვანა ლიბავაში მათგან ინგლისში ნაყიდი კონტრ-ნაღმიანი გემი და ამბობენ, რუსები ამ ფაქტს გამოაცხადებენ გამომძიებელ კომისიაში იმის დასამტკიცებლად, რომ შესაძლებელი იყო, ჩრდილოეთ ზღვაში იაპონელთა გემებიც აღმოჩენილიყვნენ.

ტოკიო, 7 ნოემბერი („რეიტერი“). ზაზეზე გაცხარებული მზადება იმას მოასწავებს, რომ მალე დიდი ბრძოლა უნდა მოხდეს. პორტ-არტურთან იაპონელთა საალყო არმიაში მყოფი „რეიტერი“-ს კორესპონდენტი იუწყება, რომ 6 ნოემბერს ააფეთქეს საწყობი არსენალის ახლოს.

იაპონელთა მანჯურიის არმიის მთავარი შტაბი, 6 ნოემბერი („რეიტერი“). იაპონელებმა სროლა აუტეხეს რუსების ქვეითა ჯარს, რომელმაც თხრილები გაავლო ვინშატუნის აღმოსავლეთით და უკუაქციეს რუსების ქვეითა ჯარის მეორე რაზმი. დანარჩენ ადგილებში არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

შანხაი, 8 ნოემბერი („რეიტერი“). იაპონელებმა მიწის ქვეშ გაყვანილი თხრილების საშუალებით ააფეთქეს 4 ნოემბერს ერლუნგშანისა და სუნშუშანის გვერდის სიმაგრეები.

ჰელსინგფორსი, 7 ნოემბერი. წავიდა შორეულ-აღმოსავლეთში ღარიბ მეომართა დამხმარებელი ფინლიანდიის საზოგადოების მოძრავი საავადმყოფო, რომელმაც წინანდელი რაზმის ადგილი უნდა დაიჭიროს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

8 ნოემბერი.

ჩანხიამუტუნი, 7 ნოემბერი. უკანასკნელ დღეებში სიჩუმე იყო. იაპონელები ღამით დაეცნენ წინა პოზიციას პუტილოვის გორასთან. ამ დაცემის შემდეგ 83 მოკლული იაპონელი იპოვეს და დასაფლავეს.

შანხაი, 7 ნოემბერი. „დეილი მეილ“-ი იუწყება, საავადმყოფო-გემების დაწესება პირველად რუსის აგენტებმა შანხაიში განიზრახეს. აგენტებს გაზეთების კორესპონდენტებიც დაჰპირდნენ დახმარებას. იაპონელებს არ მოეწონათ ეს პროექტი და უარი თქვეს იმის დამტკიცებაზე. ეხლა იაპონელ მოხელეებს სთხოვეს, საავადმყოფო-გემზე თქვენი ექიმი დანიშნეთ, რომ ყური უგდოს იმ გემს, რომელიც პორტ-არტურში მეციხოვნე ჯარისათვის საანესტეზიო წამლებს შეიტანსო.

სეული, 6 ნოემბერი. „დეილი ტელეგრაფ“-ი იუწყება, რუსის ჯარი ჩრდილოეთ კორეიაში ზამთრის გამო კერძო სახლებში დაბინავდა. იქ მომეტებულ ნაწილად ციმბირის მსროლელნი არიან.

ლონდონი, 8 ნოემბერი. „ტაიმს“-ი იუწყება: ინდოეთის საქმეთა მინისტრმა დაამტკიცა ინდოეთის არმიის მთავარ-სარდლის ლორდ კიჩენერისაგან წარმოდგენილი პლანი ამ არმიის რეორგანიზაციისა. ამ პლანის თანახმად ყოველ რაზმს ომის დროსაც იმდენი ჯარი ეყოლება, რამდენიც მშვიდობიანობის დროსა ჰყავს.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

6 ნოემბერი

ეკატერინოსლავი, 7 ნოემბერი. დამტკიცებულია ეკატერინოსლავის სამეურნეო საზოგადოების წესდება.

მოსკოვი, 7 ნოემბერი. მოვიდა სახალხო განათლების მინისტრი და ინახულა სატექნიკო სასწავლებელი.

კიევი, 7 ნოემბერი. გაიხსნა ებრაელთა სახაზინო სასწავლებელი სახელოსნო კლასით.

სოფია, 7 ნოემბერი. მინისტრთა კრებამ წარმოუდგინა სახალხო კრებას კონტრაქტი ასი ათას ფრანკის (?) სესხის შესახებ, რომელიც უზრუნველყოფილია საკრებო გადასახადითა და თუთუნის აქციზით; სესხის პირობები მძიმეა. სესხი ხუთ-პროცენტიანი, ფასი—82-ა.

მინსკი. სლუცკისა და ბორისოვის მაზრებში ქუნთრუშა მძვინვარებს. მკურნალთა საკმაო რიცხვი არა ჰყავთ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 5 ნოემბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,60
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,35
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,52 1/2
ბირჟის დისკონტი	6-7 1/2 %
4% სახელმწიფო რენტა	92
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4 1/2% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	420
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	318 1/2
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	270 1/4
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4 1/2% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	—
4 1/2% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	87 1/4
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	246

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვლადიკავკაზის ქ., № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—9 „
3. ოლღას ქუჩაზე, სახლი № 19,
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ საღამ. 5—8 „

საავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი ხალხურ ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, ... ლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-ტერ... ისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქ-მოვიხა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე პუტიატა.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ჰ... ლიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

ხელის მოწერა 1905 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი

წელიწადი „ცნობის ფურცელი“ მეათე

სურათებიანი დამატებით.

ფასი გაზეთისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში:
ერთის წლით 6 მანეთი.

საზღვარ გარეთ:
ერთის წლით 9 მანეთი.

წლიური ფასის განაწილება: ხელის მოწერისათანავე 4 მან. და დანარჩენიც 1-ლ მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი

წელიწადი „მოამბე“ მეთორმეტე

ფასი ჟურნალისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში:
1 წლით—10 მ., ცალკე № —1 მან.

საზღვარ გარეთ:
1 წლით—13 მ., ცალკე— № 1 მ. 20 კ.

ვინც „მოამბეს“ მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“

უფასოდ გაეგზავნება

მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნას შემოტანილი.

წლიური ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მანეთი ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—დანარჩენი.

(გარკვევით უნდა დაიწეროს სახელი გამოცემისა, რომელსაც იწერთ)

როგორც „ცნობის ფურცლის,“ ისე „მოამბის“ მხოლოდ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ თხზულება გამოჩენილ ესპანელ მწერლის სერვანტესის

„დონ-კიხოტი“

დოირეს სურათებით.

ეს თხზულება ნათარგმნია ნიკოლოზ ავალიშვილის მიერ და შედარებულია ვიარდოს ფრანგულ თარგმანთან ალექსანდრე სარაჯიშვილის დახმარებით.

ორი ტომი შეიცავს დაახლოვებით 1700 გვერდს (სამასამდე სურათით), პრემიად დარიგებულ

ყაზბეგის ნაწერების ფორმატისას.

1905 წ. ხელის მომწერთ დაურიგდებათ პირველი ტომი, ხოლო მეორე ტომი გაეგზავნებათ 1906 წლის ხელის მომწერთ.

ვინც 1906 წ. არ ისურვებს ჟურნალ-გაზეთზე ხელის მოწერის გაგრძობას, მას შეუძლიან 1906 წლის დამდეგს მიიღოს მეორე ტომი, რისთვისაც დაუმატებს 2 მან. 50 კაპ. ტფილისში მცხოვრები და 3 მან. 20 კ. ტფილისს გარედ მცხოვრები. აგრეთვე 1906 წ. ახალი ხელის მომწერი მიიღებს პირველ ტომს ამავე პირობით.

პრემიის გასაგზავნად ტფილისს გარედ ხელის მომწერლებმა უნდა დაუმატონ 70 კაპ. წლიურ ფასის გარდა.

გარდა ამისა „მოამბის“ წლიურ ხელის მომწერთ გაეგზავნებათ

„მასალები საქართველოს ისტორიისათვის“

ბატონიშვილის დავით გიორგის ძისა და მის ძმებისა.

ეს წიგნი ახლად ნაპოვნ ხელთ-ნაწერიდან იბეჭდება და შეიცავს 300 გვერდს „მოამბის“ ფორმატისას.

რედაქციის კანტორის ადრესი: განქის დიდი ქუჩა, ქ. ამხანაგობის სადგომში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Моамбе“-„Цнобисъ Пурцели“.

განცხადებანი

პ. ი. ავსარქისოვის

სანჯრგე ყიდის საზღვარ-გარეთის, რუსეთის და კავკასიის ჯიშის ხეხილს. ადრესი **ხად. ხქრა** (ამიერ კავ. რკინ. გზა). **ავსარქისოვს.** დაწვრილებითი კატალოგები და პრეისკურანტები რუსულად და ქართულად უფასოთ ეგზავნებათ. (10—301—9)

ახალი გახსნილი

სასტუმრო **არკადია** ნომრებით

(ყოფილი „იალტა“)

მართლმადიდებელ სემინარიის პირდაპირ, ოქროს მჭედლების ქუჩ. კუთხეში. სადილი ორი თავიაა, პიქსი არაყით, ღვინით და ფინჯანი ყავით 45 კ. უსასმელებოთ და უყავოთ 30 და 20 კ., ღვინო ბოთლი 25 კ. და ძვირფასიც. თვიურად იაფად და ეძლევათ აბონემენტები. სადილი 11—5 საათ. დილის და 5—12 ს. საღ. (88—52—67)

კბილის პასტა

ვისბადენის წყაროს მასალისაგან

№ 4711

ეს ბუნებრივი საშუალებაა კბილების საწმენდად, რომელიც ექიმებმა საუკეთესოდ სცნეს. ეს საშუალება შეიცავს ყველა იმ თვისებას, რაც საჭიროა კბილებისა და პირის მოსავლელად. იგი ახალი გამოგონებაა თანამედროვე მეცნიერებისა და კბილის საშუალებათა შორის ამისთანა სხვა არ მოიპოვება.

ერთად-ერთი ფაბრიკანტი

ფერდ. მიულჰენსი

კელნი და რიგა.

მოიპოვება ყველა აფთიაქსა, საპირფარეშო და სააფთიაქო მაღაზიებში.

(6—მც.—1)

სიბრძნე-სიცრუე

ახალი გამოცემა

იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული“

სურათებით

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი იანგარიშება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა დირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურისა.

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ.“ კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(0—ზ.21)

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „Накадули“.

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდრის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—შალვა ბახნაძისა	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—შედანაისა	—	2
ალ. ყაზბეგის I. ტომი	1	
II და III ტომი თითო	1	
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	7
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
იოტელის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	1
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	6
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	5
სიბრძნე ბალავარისა	—	80
აღა-მაჰმად-ხანის შემოსევა ტფილისში	—	15
ღვინის დაყენება, ბროშურ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	80
ფოზინიდისი—ფოსტერისა	—	2
ხენთი რაფთისა, თარგ. სომხურიდან ბ. ჯვანგულოვისა	1	

ქუთაისში

[illegible]

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მ რველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 წოლია შინაგან, ნერვებისა, საზირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, შემო- ბიაერთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამ- დებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

СѢДЕЛЬН
СПЕЦІЯЛЬН
Безъ конкуренціи
продаются всевозможн.
მიხაილოვის პრ., სახლი ვისა, № 92, სახაზინო სიბ ნის ახლოს. (წ.—176—1

ქუთაისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ 16 ნოემბერს 190 წელს გამგეობის თანადასწრებით დანიშნულია საჯარო ვაჭრობა განუმეორებლად. ვაჭრობაზე იჯარით გაიცემა გადასახადის მოკრება ქუთაისის ქალაქის ხიდებზე რისა 1905 წლის პირველ იანვრიდან 1907 წლის პირველ იანვრამდე.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიმღებმა უნ წარადგინოს ბე 200 მანეთი ნაღდ ფულ ან სარგებლიან ქაღალდებით. ეს ფული ლაქის სასარგებლოდ დარჩება, თუ ვაჭრ ბაში მონაწილეობის მიმღები ხელშეკრულების დადებაზე უარს იტყვის.

ვაჭრობა მოხდება სიტყვიერად ან დაბეჭდილ განცხადებებით. ვაჭრობა დაიწყება დილის 12 საათზე და გასტანს ნაშუადღევის 2 საათამდე. პირობების გაცნობა შეიძლება ყოველდღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდე.

(3—6.—